# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-
ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერ-
თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 1 მაისი. 2019 წ. №85 (8751) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი





## პოლიტიკური ნევრა- სთენია

5

## გვჯერა, გონიერება გაიმარჯვებს!

პანკისის სახალხო კრება მიმართავს ხელისუფლებას, საზოგადოებას და მესამე სექტორს

4

## ქისტები არასოდეს ყოფილან სეპარატისტულად განწყობილნი!

ცხინვალის პროგნოზი და პანკისელების პასუხი

## ქართული წარმოების მხარდასაჭერად ენერგეტიკული ბაზრის რეფორმის ახალი ეტაპი იწყება



**1 მაისიდან მსხვილი ინდუსტრიული მომხმარებლების ნაწილს შესაძლებლობა ეძლევა, ელექტროენერგია ბაზარზე საბაზრო ფასად შეისყიდონ.** აღნიშნული მომხმარებლების თავისუფალ ბაზარზე დაშვება ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლის ტარიფზე დატვირთვას შეამსუბუქებს, რაც მთავრობას საშუალებას მისცემს, მეტი დაცვის მექანიზმები აამოქმედოს საყოფაცხოვრებო მომხმარებლისა და მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. ამით საქართველოში ენერგეტიკული ბაზრის დარეგულირების ახალი ეტაპი დაიწყება.

**— პირდაპირ მომხმარებლებად დარეგისტრირებული საწარმოები საქართველოს მსხვილი ინდუსტრიული კომპანიები არიან. ისინი ქმნიან საქართველოს ეკონომიკის დიდ ნაწილს, არიან უმსხვილეს დამსაქმებლებს შორის. ჩვენ თითოეულ მათგანთან ძალიან ინტენსიურად ვთანამშრომლობთ, რადგან ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებას ენერგობაზარზე ისინი მომზადებული შეხვდნენ,“** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ.

პირდაპირ მომხმარებლებად დარეგისტრირებული საწარმოები ორიენტირებული არიან, გაზარდონ საკუთარი წარმოების ენერგოეფექტურობა. ნათია თურნავას თქმით, რამდენიმე კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ტექნოლოგიური გადაიარაღების პროგრამებზე, რომლის შედეგადაც ისინი ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებას შეძლებენ. ბაზრის დარეგულირებამ მათ მისცა დამატებითი სტიმული, რომ მეტი იფიქრონ ენერგოეფექტურობასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე.

## როგორ მიდის ერი გადაშენებისკენ!

11

## გადავარჩინოთ სოფელი!

## კოოპერაციის პროცესი საფრთხეშია, ბატონო პრემიერ-მინისტრო!

10

## სიმართლეს სიცრუის მანქანა ვერასოდეს გაუსწორებს თვალს!



ცოდვა როგორც მადლი, გადამდებია და ამის ნაყოფს უკვე ვიმკით საზოგადოების ყველა ფენაში.

### უწმინდესის სააღდგომო ეპისტოლე

**ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,**

**ქრისტე აღდგა!**

„მოდით და ნახეთ გოლგოთა, სადაც ეშმაკი სასიკვდილოდ დაიჭრა და სიკვდილი განქარდა, მოდით და ნახეთ აკლდამა, სადაც დადგინდა ჩვენი აღდგომის წესი; ადგილი, რომელიც უხრწნელების დასაბამად იქცა და სიხარულით აღმოთქვით: „სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი; სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?!“.

ქრისტე აღდგა!

„დასჯილი ევა განღმრთობილია, გაძევებული ადამი — მოწოდებული, წყევლა გაუქმებული, სიკვდილი — დაძლეული, ეშმაკი — განგმირული, მისი მსახურნი კი — სირცხვილეულნი და ძლეულნი“ (წმ.იოანე ოქროპირი).

იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომით ყველა ადამიანში დაძლია სიკვდილი, რაც ორ ეტაპად განხორციელდა:

განკაცებისას მან ცოდვის არმქონე სრული ადამიანური ბუნება მიიღო, გაამდიდრა იგი საღმრთო ღირსებებით (კაცობრივი ბუნების თვისებების სრული დაცულობით) და ამ გზით განღმრთობის საშუალება მისცა ყველა ადამიანს.

მეორე საფეხურზე კი აღდგომილმა მაცხოვარმა მოკვდავი სხეულის ნაცვლად ახალი, უხრწნელი, არსობრივად შეცვლილი, დაცემამდელი ადამის მსგავსი, სულიერი სხეული შეიმოსა; მისმა ადამიანურმა ბუნებამ სხვა თვისებები შეიძინა და გახდა დასაბამი კაცობრიობის მკვდრეთით აღდგომისა; იგია პირმშო შესვენებულთა, რადგან მიიღო ის სახე, რომელიც ექნებათ მართალთ მეორედ მოსვლის შემდეგ, როცა სიკვდილი უკვე აღარ იარსებებს და იქნება ახალი ცა და ახალი ქვეყანა.

იხ. 6-7 გვ.

№ 85. ოთხშაბათი, 1 მაისი, 2019 წელი.

# სალომე ზურაბიშვილი: მჯერა, რომ ჩვენ წარმატებით გავაგრძელებთ სვლას დასახული მიზნისკენ!

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც პარლამენტში გაიმართა.**

პრეზიდენტმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს, დიპლომატებსა და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა: **„მოგესალმებით, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, მივესალმები პრემიერ-მინისტრს, მივესალმები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, მოგესალმებით, პატივცემულო დეპუტატებო, მოგესალმებით, პატივცემულო სტუმრებო! 20 წლის წინათ ჩვენს საზოგადოებაში, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველო ევროსაბჭოში გაწევრიანებით დგამდა ნაბიჯს, რომელიც მთლიანად განსაზღვრავდა ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას.**



**ევროსაბჭოში გაწევრიანებით ჩვენ შევაღეთ პირველი, მთავარი კარი ევროპისკენ, რაც ნიშნავდა ცხოვრების დაწყებას არსებითად ახალი დღის წესრიგით. ამ უმნიშვნელოვანეს ევროპულ ინსტიტუტში გაწევრიანებით დაიწყო ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის შეუქცევადი პროცესი — ევროპისკენ სვლა. ევროპის საბჭოს წევრობა გახდა უდიდესი შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნისთვის — პოსტსაბჭოთა საზოგადოებისთვის, რომელსაც მოპოვებული დამოუკიდებლობა უნდა განემტკიცებინა დემოკრატიის შეუფერხებელი განვითარებით; იმ ღირებულებების დაცვით, რომელსაც ფეხქვეშ თელავდა საბჭოთა სისტემა. საბჭოთა სისტემა ფეხქვეშ თელავდა იმ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომლებზეც საუკუნეებია, ჩვენი იდენტობა იდგა და დგას. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე ხელმოწერით ჩვენ დავადასტურეთ ამ ღირებულებების ერთგულება და ამით დავუბრუნდით ჩვენს ბუნებრივ გარემოს. ძალიან ნიშანდობლივია, რომ ახლახან სტრასბურგში, ევროსაბჭოს სასახლის წინ ზურაბ ჟვანიას ვარსკვლავი გაიხსნა.**

**ისტორიული მისი სიტყვები — „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ — დღესაც აქტუალურია. იგი ჩვენი მთავარი ორიენტირი უნდა იყოს, რადგან ევროპული, თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფო, პირველ რიგში, თავისუფალ და კანონით დაცულ ადამიანებზე დგას. ევროპული სახელმწიფო დგას დემოკრატიულ კონსტიტუციაზე, კანონის უზენაესობაზე, სამართლის უზენაესობაზე, სიტყვის თავისუფლებაზე, თანასწორობაზე. ამ პრინციპების სრულად გაზიარება არის ერთადერთი სწორი გზა, ჩვენს მიერ არჩეული გზა. ახალ კონსტიტუციაში, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინათ მივიღეთ, ჩანს ჩვენი მიზანმიმართული სწრაფვა დემოკრატიის განვითარებისკენ. ამ კონსტიტუციაში, ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან ერთად, ჩვენ ჩავწერეთ მთელი რიგი ახალი უფლებები — სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დაცვითი უფლებები და ამით სამომავლო პროგრესის გზა დავსახეთ ამ უფლებების კონსტიტუციის დონეზე აყვანა გამოხატავს ჩვენი ხალხის ნებას, გადაიდგას ძლიერი ნაბიჯები დღეს მსოფლიოში არსებული გამოწვევების დასაძლევად. ისიც ვიცით, რომ ამ უფლებების კონსტიტუციაში ასახვიდან მათ პრაქტიკაში განხორციელებამდე დიდი გზაა და ჩვენგან სულ მეტი ძალისხმევა იქნება საჭირო. მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ კონსტიტუციაში გამოხატულია მთელი საზოგადოების დამოკიდებულება. ეს ხალხისა და ხელისუფლების ერთიანი პოზიციაა. ჩვენი ქვეყნისთვის უმთავრესი გამოწვევაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევის ფაქტები საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის უფლებას (და ამის უკანასკნელი მაგალითია ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალება); ეს ეხება სახელმწიფო ენას და ვიტყოდი, ორივე სახელმწიფო ენას, გადაადგილების, აზრის გამოხატვის უფლებას; ეს ეხება რელიგიური ძეგლების დაცვას. ასეთ ფაქტებს სისტემატური ხასიათი აქვს. ახლა, აღდგომის დღეებში ჩვენი მოქალაქეებისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, რომ ისინი ვერ მიდიან ოჯახის წევრებისა და ახლობლების საფლავებზე. ძალიან მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ტორბიორნ იაგლანდის ანგარიშში, რომელშიც ის ყურადღებას ამახვილებს ე.წ. „რუხ ზონებში“ მონიტორინგის აუცილებლობაზე.**

**ევროპელ პარტნიორებთან ერთად მზად ვართ, ახლავე დავიწყოთ აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით, ყველა დაცული ნორმების ფარგლებში. ასევე, საგანგაშოა ოკუპირებული ტერიტორიების გასწვრივ ადამიანების გატაცების სისტემატური შემთხვევები. ჩვენ გვჭირდება პარტნიორების ძლიერი მხარდაჭერა, რათა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა იქნას აღკვეთილი. ძალიან მნიშვნელოვანია და დიდი ნდობისა და აღიარების გამოხატულებაა ის, რომ წლის ბოლოს საქართველო 6 თვით გადაიბარებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობას. ეს მაღალი პასუხისმგებლობაა და საქართველო მზად არის ამ პასუხისმგებლობის ასაღებად. მჯერა, რომ ამ სტატუსით ჩვენ წარმატებით გავაგრძელებთ სვლას დასახული მიზნისკენ — ჩვენ ევროპისკენ!“** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# ქართველი სამხედროებისთვის ახალი უბნის მშენებლობა იწყება

**ქართველი სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის მახათას მთაზე ახალი უბნის მშენებლობა იწყება, — პროექტის პრეზენტაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ თავდაცვის მინისტრთან ერთად გამართა.**

პროექტი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, სახელმწიფოს თანადაფინანსებით განხორციელდება.



მთავრობის მეთაურის შეფასებით, საქართველოს ღირსეული შვილების — სამხედრო მოსამსახურეების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პირველ ეტაპზე პროექტში 700-მდე სამხედრო მოსამსახურე ჩაერთვება, მომავალში კი ეს რიცხვი 2000-მდე გაიზრდება.

**„საბოლოო ჯამში, მთავრობის ამოცანაა, ყველა ადამიანს, რომელიც მსახურობს საქართველოს თავდაცვის ძალებში, ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ სახელმწიფო აკეთებს ყველაფერს, რათა მათ შრომა, თავდადება და სამშობლოსადმი ერთგულება დაუფასდეთ. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ შრომის ანაზღაურება გავუზარდეთ თავდაცვის უწყებაში დასაქმებულ 2200-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურესა და სამოქალაქო პირს. 2019-2020 წლებში დამატებით 9000-მდე სამხედრო მოსამსახურესა და სამოქალაქო პირს გავუზრდით ხელფასს. საერთო ჯამში ბოლო 4 წლის განმავლობაში სახელფასო ანაზღაურების ზრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებში 11 000-ზე მეტ ჩვენს მოქალაქეს შეეხო“,** — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერ-მინისტრმა სამხედროებს თავდაცვის ძალების დღე მიულოცა. მამუკა ბახტაძემ ხაზი გაუსვა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროების განსაკუთრებულ როლს და აღნიშნა, რომ ყველა პარტნიორის შეფასებით ისინი მოწინავეები არიან.

**„ამას ვისმენთ უკლებლივ ყველა ჩვენი პარტნიორი ქვეყნისგან, ისინი აღფრთოვანებით საუბრობენ ჩვენს სამხედროებზე, ჩვენს ოფიცრებზე, მათ სიმამაცეზე, მომზადებასა და სულისკვეთებაზე, რომელიც მხოლოდ ქართველი ჯარისკაცის სულში შეიძლება არსებობდეს“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა სამხედროებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მათი ასეთი წარმატება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

# ჩინეთი-საქართველო: „ერთი სარტყელი, ერთი გზა...“

**სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი დავით ფერაძე საქართველოს სამთავრობო დელეგაციასთან ერთად სამუშაო ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში იმყოფებოდა. სადაც „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მაღალი დონის მე-2 საერთაშორისო ფორუმი გაიმართა.**

დელეგაციას საქართველოს ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი ხელმძღვანელობდა. ქართული მხარე ფორუმზე ჩინეთის მთავრობის მიწვევით გაემგზავრა. ფორუმის მიმდინარეობისას 40 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციისხელმძღვანელმა პირებმა და 150 ქვეყნის 5000-მდე წარმომადგენელმა „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ განვითარებისთვის ერთობლივი რეკომენდაციები შეიმუშავეს.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი და სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი დავით ფერაძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრ ლი სიაო პენგს შეხვდნენ, სადაც შუა დერეფნის სატრანზიტო პოტენციალზე ისაუბრეს.

მაია ცქიტიშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს სატრანსპორტო და სატრანზიტო პოტენციალს. აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს „შუა დერეფნის“განვითარებას. შეხვედრის ბოლოს, მაია ცქიტიშვილმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრმა ლი სიაო პენგმა ხელი მოაწერეს მხარეების მიერ პარაფირებულშეთანხმებას „საქართველოსა და ჩინეთის მთავრობებს შორის საერთაშორისო სახმელეთო ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა ტრანსპორტირების შესახებ“.



# მიმდინარე კვირას პარლამენტში შს მინისტრსა და სუს-ის უფროსს მოუსმენენ



**საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კვირის ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ელოდებიან.**

მინისტრის საათის ფარგლებში, გიორგი გახარია პარლამენტში ხუთშაბათს მივა. დეპუტატები პარასკევს სუს-ის უფროსის ვახტანგ გომელაურის ანგარიშს მოისმენენ.

პანკისში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, „ევროპულმა საქართველომ“ გიორგი გახარია პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაზე დაიბარა, თუმცა, მინისტრმა აღნიშნულზე უარი განაცხადა.

# აჭარაში საკადრო ცვლილებები იქნება

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ საკადრო ცვლილებები დააანონსა. როგორც თორნიკე რიჟვაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, არ მოდუნდება და ყველა საჯარო პირი, რომელიც კორუფციაშია ჩართული, თანამდებობიდან განთავისუფლდება.**



აჭარის მთავრობის მეთაურს დეტალებზე არ უსაუბრია, თუმცა განმარტა, რომ უახლოეს დღეებში შევიტყობთ საკადრო ცვლილებების შესახებ, რომელიც მისი მუშაობის „ანტიკორუფციულ“ ხაზს უკავშირდება.

**„არ მინდა, რომ მოვდუნდეთ იმ ანტიკორუფციული ხაზის თვალსაზრისით, რომელსაც ვატარებთ. კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ანტიკორუფციული პოლიტიკა, შიდა პოლიტიკის კონტროლი. ასე, რომ ყველას მოგიწოდებთ, კიდევ უფრო გაძლიერდეს შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურები.**

**ვაპირებ, უახლოეს პერიოდში საკადრო გადაწყვეტილებებით ავსახო სწორედ ის შეურიგებელი ბრძოლა კორუფციასთან, რომელსაც დავუდეთ საფუძველი. ყველა ხელმრუდი საჯარო მოხელე, რომელიც გაბედავს, რომ ღირსების პარაზიტად გადაიქცეს, უნდა მოხვდეს განსასჯელის სკამზე და ეს უნდა უზრუნველვყოთ“** — განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

# „საქართველოში ინვესტორები ბიზნესის ერთ-ერთ გამოწვევად სასამართლო სისტემას ასახელებენ“

ირაკლი ლექვინაძის თქმით, მას უცხოელი ბიზნესმენები ძირითადად სამი პრობლემით მიმართავენ.

**„სამი ყველაზე მთავარი პრობლემა შემიძლია დაგისახელოთ, რომელიც სახელდება, როგორც ბიზნესის გამოწვევა. ეს არის სასამართლო სისტემა და ვადებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე რეგულაციების გავლენა ბიზნესზე, მათ შორის ახალი რეგულაციებიც, რომელიც შემოდის და რიგი ბიუროკრატიული საკითხები“,** — განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

# მარტში ეკონომიკური ზრდის 6-პროცენტიანი მაჩვენებელი კარგი გზავნილია ინვესტორებისთვის!

**მარტში ეკონომიკური ზრდის წინასწარმა მაჩვენებელმა 6 პროცენტი შეადგინა, რაც კარგი გზავნილია ინვესტორებისთვის. ვფიქრობ, ეს არის კარგი სტარტი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის წინ, რომელიც 1 მაისს დაიწყება, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ეკატერინე მიქაბაძემ.**

„საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული რელიზის თანახმად, წინასწარი შეფასებით, 2019 წლის მარტში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა და 6.0 პროცენტი შეადგინა. 2019 წლის იანვარ-მარტის საშუალო ზრდა 4.7 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო 2018 წლის ეკონომიკური ზრდა 4.7 პროცენტი იყო.

ეკატერინე მიქაბაძემ ყურადღება გაამახვილა იმ დადებით ფაქტორებზე, რომლებსაც ადგილი აქვთ ეკონომიკაში. მისი თქმით, 2019 წლის მარტში დაფიქსირდა საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესება. კერძოდ, 2019 წლის მარტში საქონლის ექსპორტის 12.3-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა და 321.0 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. ასევე გაიზარდა შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან. მარტში ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად 5.3 პროცენტით (12.4 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 244.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება სხვა ფაქტორებს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის შეფასებით, მარტში 7.5 პროცენტით გაიზარდა წმინდა ფულადი გზავნილების მაჩვენებელი და მისმა მოცულობამ 119.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.



# 2018 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დახარჯული თანხების ოდენობამ 61.5 მლნ ლარი შეადგინა

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 50 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა. წლის ბოლოს ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად ფონდის მოცულობა 60 მლნ ლარამდე (20%-ით) გაიზარდა**



სახელმწიფო აუდიტის სამსახურში მონაცემებით, საბოლოოდ წლის მანძილზე ფონდიდან დახარჯული თანხების ფაქტობრივმა ოდენობამ 61.5 მლნ ლარი შეადგინა და 23%-ით გადააჭარბა თავდაპირველ გეგმას. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების უდიდესი წილი იუსტიციის სამინისტროსა (19.6 მლნ ლარი) და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე (12 მლნ ლარი) მოდის.

**„გასულ წელთან შედარებით ზრდის ტენდენციით ხასიათდება იურიდიული, ფინანსური, საკონსულტაციო და სარეკლამო მომსახურებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი სახსრების მოცულობა“,** — აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში...

# პუტინმა სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის აღდგენის „აუცილებლობაზე“ იქირქილა!

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უკრაინის ახლადარჩეულ პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც დონბასის მცხოვრებლებისთვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით გაცემას უკავშირდებოდა.**



უკრაინის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ სრულიად სერიოზულად განაცხადა, რომ **„მზადაა, უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭოს რუსეთის მცხოვრებლებსა და ყველას, ვინც მზადაა, თავისუფლებისთვის იბრძოლოს“.**

რუსეთის ლიდერმა ერთგვარი გაკვირვება გამოთქვა ზელენსკის სიტყვების გამო, ცინიკურად ჩაიღიმა და შოუმენ პრეზიდენტს იდეა მოუწონა: **„მართლა ასე თქვა ზელენსკიმ? ძალიან კარგი, ესე იგი, საერთო ბევრი გვაქვს და მოვილაპარაკებთ. რუსეთისა და უკრაინის ხალხები მხოლოდ მოიგებენ, თუ მათ ერთიანი მოქალაქეობა ექნებათ. ყოველთვის ამბობდნენ, „რუსები და უკრაინელები ძმები არიანო“,** — განაცხადა რუსეთის ლიდერმა.

რაც შეეხება უკრაინის მოქალაქის პასპორტებს, პუტინმა აქ საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შემთხვევა გაიხსენა და განაცხადა, რომ **„უპრიანი არ იქნებოდა, უკრაინის მოქალაქის პასპორტი ოდესის ოლქის ექსგუბერნატორ მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილისთვის დაებრუნებინათ, რომელიც უკრაინაში საქართველოს პრეზიდენტობის შემდეგ სამუშაოდ ჩავიდა“.**

**„სამართლიანი იქნებოდა, სააკაშვილისთვის დარღვეული უფლებები აღედგინათ“,** — სარკასტული ღიმილით დასძინა რუსეთის პრეზიდენტმა.

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინათ რუსეთმა მის მიერ ანექსირებული დონბასის მცხოვრებლებისთვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით გაცემის გადაწყვეტილება მიიღო. როსტოვის ოლქის ქალაქ ნოვოშახტინსკში ე.წ. ლუგანსკის რესპუბლიკის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქის პასპორტის გამარტივებულად გაცემის პირველი ცენტრი უკვე ამოქმედდა. რუსეთის შსს-ს ოფიციალური წარმომადგენლის მიგრაციის საკითხებში განცხადებით, ცენტრი სატესტო რეჟიმში მუშაობს, მიმდინარეობს პირველი დოკუმენტების დამუშავება, რიგით მეორე ცენტრი კი ე.წ. „დონეცკის რესპუბლიკის“ მცხოვრებთათვის გუშინ, 30 აპრილს გაიხსნა.

# სააკაშვილი: ახალგამომცხვარო ტროლო, უკრაინელებთან თავად გავერკვევით!

საქართველოს ექსპრეზიდენტი, უკრაინის ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არაადეკვატური მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მხრიდან უკრაინის ახალარჩეულ პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკისადმი მოწოდებას გამოეხმაურა „სააკაშვილისთვის შელახული უფლებების აღდგენის“ თაობაზე და რუსეთის ლიდერს „ახალგამომცხვარი ტროლი“ უწოდა.



**„ეს ის პუტინია, რომელიც 2017 წლის დეკემბერში პრესკონფერენციაზე ითხოვდა უკრაინიდან ჩემს გაძევებას, რაც პოროშენკომ ერთი თვის შემდეგ გააკეთა... ზუსტად ვიცი, რომ სწორედ პუტინმა მოსთხოვა პოროშენკოს, არ მივეწვიე ინაუგურაციაზე 2014 წელს... დღეს კი მისი წარმომადგენლები შუამავლების მეშვეობით ზელენსკისგან კატეგორიულად მოითხოვენ არათუ იმას, რომ მოქალაქეობა არ დამიბრუნონ, არამედ იმას, რომ არ შემიშვან უკრაინაში! ასეთივე მოთხოვნა პუტინმა წაუყენა არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას, არამედ თურქეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს. ჩემი ინფორმაციით, სწორედ ამას განიხილავდა ის 2016 წელს პრეზიდენტ ერდოღანთან შეხვედრისას. ასე რომ, ვლადიმირ ვლადიმირის ძევ, ახალგამომცხვარო ტროლო, ჩვენ უკრაინელებთან თავად გავერკვევით“...**

# გვჯერა, გონივრული პოლიტიკა გაიმარჯვებს!

## პანკისის სახალხო კრება მიმართავს ხელისუფლებას, საზოგადოებას და მესამე სექტორს

ᲞᲐᲜᲙᲘᲡᲨᲘ 21 აპრილს განვითარებული მოვლენები — პანკისის სახალხო კრება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მისამართით მიმართვას ავრცელებს. სახალხო კრება ხელისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას მოუწოდებს, შექმნილი კრიზისის დაძლევაში მონაწილეობა მიიღონ:

**„პანკისის სახალხო კრება, რომელიც პანკისელი უხუცესებისა და ახალგაზრდების ერთობაა, მივმართავთ ხელისუფლებას, ქართველ საზოგადოებას, დიპლომატიურ კორპუსსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა მონაწილეობა მიიღონ 21 აპრილს პანკისის ხეობაში შექმნილი კრიზისის დაძლევაში და საკუთარი მანდატის ფარგლებში განახორციელონ პოზიტიური ინტერვენცია საკითხის თანამშრომლობის გზით მოგვარებაში. ამავდროულად, გამოვხატავთ დიდ წუხილსა და ღრმა გულისწყვეტას სოფელ ძიბახევში განვითარებული პროცესების გამო.**

**რაოდენ დიდი კრიტიკაც არ უნდა გვქონდეს 21 აპრილის წინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენს ხეობაში ჰესების კასკადის მშენებლობის საკითხს და მასთან დაკავშირებულ პოლიციის გაუმართლებელ ქმედებებს შეეხება, ჩვენ ცალსახად მიუღებლად და დაუშვებლად მივიჩნევთ მოსახლეობის მხრიდან პროტესტის ძალადობრივი ფორმების გამოყენებას და როგორც ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილებს, ღრმად გვჯერა, რომ თითოეული მოქალაქის უმთავრეს საზრუნავს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს.**

**ჩვენი ქვეყანა რთულ გეოპოლიტიკურ რეალობაში არსებობს და შიდა პოლიტიკური და სოციალური პროცესები ხშირად ექცევა ქვეყნის მტრების ყურადღების და ინტერესის ქვეშ.**

**შესაბამისად, ვაცნობიერებთ რა იმას, რომ 21 აპრილს განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეულწილად შეიძლება, რისკები შეუქმნას ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების საკითხს, ვგრძნობთ მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და გამოვხატავთ მზაობას, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ვიღონოთ ყველაფერი, რათა აღარ დავუშვათ მსგავსი ქმედებების განმეორება პანკისის ხეობაში და პროცესების შემდგომი ესკალაცია.**

**თავის მხრივ, სახალხო კრების თავდაპირველი შეკრების მიზანი იყო სწორედ ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ ხეობაში არსებული სახალხო პროტესტის დარეგულირება და ასევე პროტესტის მშვიდობიანი ფორმით გამოხატვის უზრუნველყოფის მცდელობა. თუმცა, სამწუხაროდ, ჰესების მშენებლობის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების დასრულების გარეშე, სრულიად მოულოდნელად დაიწყო მასშტაბური საპოლიციო ღონისძიება ხეობაში, რაც მოვლენების სპონტანურად განვითარებისა და ადგილობრივების ჭარბი უკმაყოფილების მიზეზი გახდა.**

**ამ უკმაყოფილების და შელახული ნდობის საფუძველს კი წლების განმავლობაში ჩვენს ხეობაში სოციალურ კონტროლსა და დასჯაზე ორიენტირებული პოლიტიკა ქმნიდა. ადგილობრივ მოსახლეობასთან დემოკრატიულ კომუნიკაციას მოკლებული გადაწყვეტილებების გამო, მივიღეთ არასასურველი შედეგი, რომელიც ჩვენი ქვეყნის არც ერთი მოქალაქის ინტერესებში არ შედის.**

**ამავე დროს, ჩვენ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას მიერ პროცესის დეესკალაციისთვის მიღებულ მყისიერ გადაწყვეტილებას.**

**ჩვენი შეფასებით, ეს იყო გონიერი და სახელმწიფოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული ქმედება და არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება, განხილულ იქნას, როგორც ხეობაში მართლწესრიგის დასუსტების ნაბიჯი. ასევე გვჯერა, რომ ხელისუფლება გააგრძელებს გონივრულ პოლიტიკას ხეობაში და არ დაუშვებს პროცესების შემდგომ გამწვავებას.**

**ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მივმართავთ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრებს, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრს და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, დროულად შეგვხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ერთად ვიმუშაოთ შექმნილი სირთულეების დაძლევის და თანამშრომლობის ახალი ეტაპის დასაწყებად, რომელიც მიღებული გადაწყვეტილებების და შეცდომების ორმხრივ თვითკრიტიკას დაეფუძნება.**

**ჩვენ ვითხოვთ ხეობაში სამართლიანი და დემოკრატიული პოლიტიკის გატარებას და გვესმის, რომ ამგვარი პოლიტიკის გატარება შეუძლებელია ხელისუფლების და ადგილობრივი საზოგადოების თანამშრომლობის და დემოკრატიული კომუნიკაციის გარეშე,“** — აღნიშნულია მიმართვაში.






# ქისტები არასოდეს ყოფილან სეპარატისტულად განწყობილნი!

## ცხინვალის პროგნოზი და პანკისელების პასუხი

**ᲞᲐᲜᲙᲘᲡᲘ უახლოეს ხანებში ფართო ავტონომიის მოთხოვნით გამოვა, — თვლის ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი მედოევი.**

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: 21 აპრილს პანკისის ხეობაში მოხდა შეტაკება ადგილობრივ მცხოვრებლებსა და საქართველოს სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებს შორის. ხეობაში განვითარებული მოვლენების შედეგად დაშავდნენ როგორც რიგითი მოქალაქეები, ისე სპეცრაზმელები, დაზიანდა ჰესის მშენებელი კომპანიის ტექნიკა და შსს-ს კუთვნილი მანქანები. სპეცრაზმელებმა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს.

სიტუაცია მას შემდეგ განიმუხტა, რაც პოლიციამ ხეობა დატოვა, შს მინისტრმა გიორგი გახარიამ კი განაცხადა, რომ ჰესი არ აშენდება მანამ, სანამ მის მშენებლობას მხარს მოსახლეობის 90% არ დაუჭერს.

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 353-ე პრიმა და 187-ე მუხლებით დაიწყო, რაც პოლიციელზე თავდასხმას და ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანებას გულისხმობს.

მედოევის აზრით, ბოლო დღეებში პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენები — ეს „არ იყო ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის მხრიდან მარტო ბინადრობის არეალისა და ამ ტერიტორიის უნიკალური ეკოლოგიის დაცვის მცდელობა, — ყველაფერი ბევრად უფრო სერიოზულადაა — საქმე გვაქვს კომუნისტების დროიდან დაწყებული, ყველა ქართული მთავრობის უგუნური ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგთან“.

**„ეს პოლიტიკა საქართველოში ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში იქნა ლეგალიზებული, ედუარდ შევარდნაძის დროს მეტ-ნაკლები წარმატებით გრძელდებოდა, ხოლო მიხეილ სააკაშვილმა იგი სახელმწიფო პოლიტიკად აქცია. ამ პოლიტიკის ერთ-ერთ შედეგად 90-იან წლებში, გამსახურდიას პერიოდში მასობრივი ეთნიკური წმენდის გამო ამ ადგილებიდან ოსური მოსახლეობის გაქცევა იქცა, რამაც მთლიანად რეგიონში ეთნოეროვნული ბალანსის რღვევა გამოიწვია. მაშინ თბილისში ამის შესახებ არავინ ფიქრობდა, ეროვნული მოძრაობის ლოზუნგები „საქართველო — უპირველეს ყოვლისა“ და „საქართველო ქართველებისთვის“ სტრატეგიულ აზროვნებაზე უფრო მნიშვნელოვნად ითვლებოდა — იგივე მოხდა ბორჯომის ხეობაში, სადაც 1990-1991 წ.წ. მრავალათასიანი ძირძველი ოსური მოსახლეობა ქართველმა ნეონაცისტებმა სახლებიდან გაყარეს. და მხოლოდ მეზობელი სომხეთის წყალობით მოხერხდა ბევრად უფრო მასშტაბური შედეგებისა და ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილება“,** — ნათქვამია მედოევის დე ფაქტო საგარეო უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კომენტარში.

**„არ გამიკვირდება, დემოკრატიის სულისა და კანონების შესაბამისად, აქ მცხოვრებთათვის ფართო ავტონომიის მინიჭების შესახებ ლოზუნგები გაჩნდეს. ვფიქრობ, ეს ლოგიკურია“,** — დასძენს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი.

მსგავს განცხადებებს არასერიოზულს უწოდებს პანკისის ხეობის მკვიდრი მუსა პანკისელი.

**„ძალიან ბევრი არასერიოზული განცხადება მოვისმინეთ როგორც ე.წ. ექსპერტების, ისე პოლიტიკოსების მხრიდან. მუშაობენ „ტროლებიც“, თითქოს რაც მოხდა — ეს რაღაც გაუგონარი უბედურება იყო. ბენზინის ფასის მომატების გამო საფრანგეთში ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა მსგავსი აქციები და ეს ვინმემ შეაფასა ისე, რომ ამ ხალხს ქვეყნის დაქცევა, სახელმწიფო გადატრიალება სურდა?! ჩვენთან კი ვისმენთ პანიკურ კომენტარებს, თითქოს „ქისტები ითხოვენ ავტონომიას“, „ხეობაში გარე ძალები მუშაობენ“, „დაუმორჩილებელი რეგიონია“, „იქ კანონი არ მოქმედებს“ და ათას მსგავს აღმაშფოთებელ სისულელეს... ჯერ ერთი, სტატისტიკა მაინც მოიშველიონ — აქ ყველაზე კანონმორჩილი მოქალაქეები ცხოვრობენ! მეორეც, დაასახელონ შემთხვევა, როდესაც პანკისელები გამოვიდნენ და მსგავსი განცხადებები გააკეთეს! როდის იყვნენ შემჩნეული ქისტები სეპარატისტულ განწყობებში?! ვინც ამ სისულელეებს ლაპარაკობს, — ვგულისხმობ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებლებსაც, სწორედ მათ ინტერესშია ეს! მტრები იქ არ უნდა ვეძებოთ, სადაც არ არიან.**

**მე თავიდანვე ვიყავი პროცესებში ჩართული და ვიცი, რა სახის შეცდომები იქნა დაშვებული. შესაძლოა, ჩვენც ბევრი გვქონდეს სათქმელი, ბევრი კრიტიკა, თუ როგორ წარიმართა პროცესები თუნდაც ხელისუფლების მხრიდან, თუმცა თავს ვიკავებთ. ორივე მხარემ ვიცით, ვინ სად დააშავა. უბრალოდ, ახლა იმის დრო არაა, ერთმანეთისკენ გავიშვიროთ თითი! ერთმანეთს ეჭვის თვალით არ უნდა შევხედოთ. უნდა გვესმოდეს, რომ თუ ვზარალდებით, ყველანი ვაგებთ, ხოლო თუ ვაშენებთ, ყველანი ერთად ვაშენებთ.**

**რაც შეეხება უშუალოდ აქციას, ადამიანებმა გამოხატეს პროტესტი, სიტუაცია ჩაწყნარდა და ინციდენტიც ამოიწურა. რაც მოხდა, ძალიან ცუდი ფაქტი იყო და ამას ადგილობრივი მოსახლეობაც განიცდის. მხოლოდ ის კადრი რად ღირდა, შეუძლოდ მყოფ სპეცრაზმელს აქციის მონაწილე ქისტები რომ უვლიან... ეს კადრი ყველაფერზე მეტყველებს. ბეწვის ხიდზე გავიარეთ. ახლა მთავარია, ხალხმა და ხელისუფლებამ უფრო წინდახედულად იმოქმედონ“,** — განუცხადა „აქცენტს“ მუსა პანკისელმა.



# პოლიტიკური ნევრასთენია

**გასული კვირის (21 აპრილის) პანკისურმა ხმაურმა ამ ხეობაში რამდენიმე წლის წინანდელი მივლინება გამახსენა.**

**მახსოვს მაშინაც აბუნტებული იყო პანკისი. ხეობაში მისასვლელი გზა უხვად ჩაეხერგათ ბლოკპოსტებით. თუმცა ხეობიდან პოლიცია უკვე გაეყვანათ უქვისსროლიოდ, მაგრამ სოფლებში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და შუბლშეკრული ადევნებდა თვალს უცხო გამვლელთ.**

მაგრამ კახეთის მხარის პოლიციის მაშინდელ უფროსს, გენერალ-მაიორ ზურაბ ტუშურს, როგორც კი ვთხოვე, იქნებ, როგორმე მაინც ხეობაში შემიყვანო-მეთქი, ბევრი არ უფიქრია, მაშინვე მანქანაში მიმიპატიჟა, ოღონდ მძღოლი გადმოსვა და თვითონ მიუჯდა საჭეს, ავტომატიც იმ სერჟანტს გაატანა.

გვიან, უკან დაბრუნებისას, მივხვდი მისი შეუკამათებლად დათანხმებისა და „განიარაღების“ მიზეზს: გენერალს ჰქონდა საკუთარი თავის და პანკისელების იმედი, სჯეროდა, რომ მის მანქანას ქვასა და კეტს არავინ დაუშენდა, რადგან ისე დაშორდნენ, რომ შეხვედრისას ერთმანეთისთვის თვალებში შეხედვა არ შერცხვენოდათ.

მართლაც, ისე შევედით ბოლომდე ხადორის ხეობაში, სადაც ჩინელების მიერ უკვე დასრულებულიყო პირველი ჰესი, ისე მოვიარეთ სოფლები, რომ ადგილობრივთაგან ვაგლახად წარბი არავის შეუხრია.

როგორც ვთქვი, ეს მაშინდელი სტუმრობა გამახსენა 21 აპრილს დიდმა ქვასროლიობამ, როცა ისროდა დიდი და პატარა, ქალი, კაცი და ბავშვი, მთლიანად სოფელი ბირკიანი და მისი მეზობლები, ლამის მთელი ქისტი მოსახლეობა.

თუმცა ახლა აშკარად ავყევი „სიტყვაკაზმულობას“ და გადავაჭარბე: „მთელ ქისტეთს აშკარად არ აუღია ხელში ქვა, ვიდეოკადრებში ჩანდნენ ადამიანები, რომლებიც გულდაგულ ცდილობდნენ გაფიცხებული ხალხის შეკავებას, ჩამდგარიყვნენ მსროლელებსა და თავდამცველებს შორის.

აქ იმას არ ვლაპარაკობ, თუ რა ისეთი სიმართლე ედო საფანლად მოსახლეობის ზომაზე გადასულ გაშმაგებას, რამაც სოფელი გარეთ გამოყარა და ქვა და კეტი აალებინა პოლიციასთან საბრძოლველად, თუმცაღა მშვენივრად უწყოდა, რომ მათი ეს ქმედება უკანონობა, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, დანაშაული იყო და მაინც ისროდა, ისროდა...

მოკლედ იმ დღეს პოლიცია სტეფანესავით ჩაქოლა პანკისმა. მადლობა ღმერთს, რომ სტეფანესავით არავინ ამაღლებულა ზეცად და არც დახეთქილთავიანთა და ჩალურჯებულ კოჭებიანთაგან არავინ გამოჰკრა თითი სასხლეტს (რეზინის ტყვიებსა და ცრემლსადენ გაზზე არას ვამბობ).

როგორც ჩანს, ადამიანთა იმ გაავების ჟამს მაინც ღვთის თვალი ტრიალებდა ხეობაში, რადგან დაგვიფარა და სისხლი არ დაღვრილა, კაცი არ მომკვდარა. დახეთქილ თავებს და ჩალურჯებულ წვივებს კი მოევლება! იქნებ მამა-პაპათა ტრადიცია გავიხსენოთ, ერთად დავსხათ დაშავებულები და ერთად გავზომ-დავთვალოთ: იმ გატეხილი თავის საფასურად — ხუთი ძროხა, ამ ჩალურჯებული წვივის საფასურად — სამი ძროხა, ამ შედრეკილი ნეკნის საფასურად — ორი ძროხა!..

მაგრამ ეს ჭრილობები და დაჟეჟილობანი კიდევ არაფერი, ბოლოს და ბოლოს, როგორც ვთქვით: მალამოს დაადებ ან სულაც ძროხაში გაცვლი (თუ ხუმრობაა, ბოლომდე ვიხუმროთ), უარესი მოხდა. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო და არც მომხდარა არასოდეს: ადრინდელი ბუზღუნები და ბრალდებები უკვე ხელჩართულში გადაიზარდა, ჯინი ბოთლიდან ამოვიდა და ახლა რამდენიც გინდა სული უბერო, უკან ველარ ჩატენი.

ვერ ჩატენი ვერც ხვალ, ვერც ზეგ და ვერც ათი წლის შემდეგ, პირიქით, ბოთლიდან ამობოლებული ჯინი სულ გალაღდება და აიქოჩრება, ზუსტად ისე, როგორც თვალარიდებული კოჰაბიტაციით გაჯეჯილებული ოპოზიციის საპარლამენტო ყიყინ-ყაყანს არ უჩანს დასასრული.

ამას გვიკარნახებს მოვლენათა განვითარების ლოგიკა (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე).

ბუნებრივია, ხელისუფლებამ „მამაო ჩვენოსავით“ ზეპირად უნდა იცოდეს ამ ლოგიკის არსი, უნდა იცოდეს, მაგრამ მაინც დაუშვა საბედისწერო იალღიში.

მამაცხონებულო, ხომ ხედავ, წელიწადია, ელაპარაკები ამ ხალხს, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადმოადგმევინე შენკენ — ახალი ჰესის აშენებისკენ, ამიტომ ტაქტიკურად დაიხიე უკან. თუ მუნდირის ღირსება არ გაძლევს ამის უფლებას, მაშინ იმასაც შეეგუე, რომ ქვასაც მოგასეტყვებენ და მანქანებსაც მაშხლებად გიქცევენ.

მერე, გიღირს ეს რაღაც ტილიანი ჰესისთვის, რომლის აშენებაც კაცმა არ იცის, ვის ექსკლუზიურ ინტერესებშია და რა ისეთ ენერგეტიკულ სიუხვეს დაგაყრის თავზე.



საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ერთ დროს სსრ კავშირის ორგანული ნაწილი იყო, ხალხის აზრს, ხალხის სურვილს, როგორც წესი, არავინ კითხულობდა და ითვალისწინებდა, უფრო სწორად მათი აზრი და სურვილი ხელისუფლებას ფეხებზე ეკიდა და ინერციით ახლაც ფეხებზე ჰკიდია, ოღონდ დღეს ამას „მაღალი დემოკრატიულობის“ გამო, ცოცხალი თავით არ აღიარებს. ოღონდ ასე კია და...

ფეხებზე ჰკიდია და მიიღო კიდეც!..

ჩაქოლილმა პოლიციამ თავისი გადაფურთხებული ალოკა: იძულებული გახდა, თავპირდალეწილი სპეცნაწილი ხეობიდან გამოეყვანა, როდინობის კვირამდე შეეჩერებინა ჰესის მშენებლობა, სანამ მოსახლეობა ერთსულოვნად არ გადაწყვეტს მის გაგრძელებას(?). ხელისუფლება, ალბათ, იძულებული გახდება შეწყვიტოს მომხდარის გამოძიებაც და თუკი ვინმე კიდევ ჰყავთ გალიაში, ისინიც გამოუშვან. ყველა ამ იძულებითი ღონისძიების უკან ხეობის მოსახლეობის კატეგორიული მოთხოვნა დგას. ვფიქრობ, პანკისელებმა გაიცნობიერეს, რომ თავდაცვის კეთილშობილური მიზნით საკმაოდ გამოკვეთილი დანაშაული ჩაიდინეს. და ახლა, როცა მთავრობას უმრავლეს საკითხში თითი მოაკაკვინეს, რქებით აწვებიან, რომ ჩაყუდების ღირსი ადამიანები იხსნან.

ხელისუფლებამ უკან დაიხია, მაგრამ მოიქცა სწორად, წინდახედულად. ეს მაშინ მოიქცა არასწორად, როცა უდავოდ დაუფიქრებლად შევიდა ხეობაში. ამდენად, თავიდანვე ასე გონივრულად რომ მოქცეულიყო, ხომ ბევრად აჯობებდა!

ახლა რამდენიც გინდა იძახე კახა კალაძესავით, ჰესის მშენებლობის, ქვეყნის ენერგეტიკული წინსვლის მოწინააღმდეგე, ქვეყნის მტერიაო, მოგვიწევს შეგუება, რომ პანკისელები, სვანები, რაჭველები თუ აჭარლები, თავიანთ სახნავ-სათესებში, საძოვრებში ჰესების მშენებლობის წინააღმდეგნი კი არიან, მაგრამ არამც და არამც — ქვეყნის მტრები. და, საერთოდ, იქნებ ერთხელ და სამუდამოდ შევეშვათ ყველა კუთხე-კუნჭულში, ყველა სხვაგვარად მოფიქრალ კაცში ქვეყნის მტრის ძიებას!

**ერთიც** და მოვრჩები. რაც იმ კვირადღის ამბების ტელეგაშუქებამ ქვეყანას სამედიცინო და პოლიტიკური ნევრასთენია დამართა, ნეტა სხვა რა იქმდა ამას. ოპოზიციამ, როგორც იტყვიან, „ღვთივბოძებული“ მომენტი იშოვა, „თაგვმა“ გამოუჩხრიკა და ამას ხელიდან როგორ გაუშვებდა?! ეკრანზე პოლიციისა და ხალხის შეჯახების პირველი კადრები ის-ის იყო გაილანდა, რომ მას ჭენებით მოჰყვა ქართველი სპირიდონოვა — თაკო ჩარკვიანი ამალით, პანკისის კადრები ჯიქურ გვერდზე მისწია და აქაოდა, სხვამ არ დაგვასწროსო, უაპელაციოდ განაცხადა — პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გადადგნენო! ის არ უთქვამს, რატომო, ქათამივით რატომ წავაკლათ ამ ამბავს ან ერთი და ან მეორეო. უნდა გადადგნენ და მორჩაო! ადრე, სანამ ქალბატონი თაკო მხოლოდ თავისი სახელით აკეთებდა რევოლუციურ განცხადებებს, შეგეძლო ხმალი არ გეშიშვლა, ახლა, როცა მან თავისი მსგავსი რამდენიმე თანამოაზრე შემოიკრიბა, ათასმეერთე პარტია შეაკოწიწა და გაერთიანებულ ოპოზიციას კვალში ჩაუყენა, აღარ შეიძლება ყურს მიღმა გაუშვა ამხელა პარტიის მოსაზრება.

რევოლუციური აღტყინებით ასერიგად დატუმბული და აფეთქებული შალვა ნათელაშვილი მე არ მინახავს. ხომ ყოველთვის ისეთი მგზნებარეა, თითქოს წინ სოსო შატბერაშვილს ხედავდეს, მაგრამ ასეთი?! თვალთაგან ელვას ისროდა, ჭექა-ქუხილს ატეხდა ბიძინა ივანიშვილს. და ამ ხელისუფლებას ნაკლები მოთმინება რომ გამოეჩინა, ოტებელი რა ხანია გაცილებული იქნებოდა ფოილოს ხიდს.

ახლა — ბოკერია, უგულავა, მელია, სამადაშვილი და სხვანი და სხვანი ნათელმხილველნი... შუბლზე ოფლი მასხამდა მათი ცეცხლისმფრქვეველი პირის ყოველი გაღებისას. როგორ ამათრახებდნენ მთავრობის კორუფციონერობასა და ნეპოტიზმს(?) როგორ ამხელდნენ ბიძინას სიხარბესა და საერთაშორისო თაღლითობებს, იმას, თუ როგორ აჩანაგებს იგი (ბიძინა) სამშობლოს ბუნებას, როცა შეკვეთილში მესოპოტამიიდან ჩამოტანილ ხეებს რგავს და შეკვეთილის არემარისთვის უჩვეულო ტყე-პარკს აშენებს.

პატრიარქს შეუძახეს, ბიძინას უარი უთხარი შემოთავაზებაზე, არ გინდა მისი მოხატული სამება, საერთოდ მოაშორე ეგ კაცი მის მიერ აშენებულ იმ ტაძარს, აქამდე არაფერი კარგი ეკლესიისთვის არ გაუკეთებია და ახლა რატომ ელი მისგან სიკეთესო!

ასე მოვედით უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომამდე: ქვათა ხათქახუთქით, ოპოზიციის გაავებული წიკვინ-ღრიანცელით, წითელპალტოიანი სანდრა რულოვსის წინასაარჩევნო ტრიუმფალური სვლით სამეგრელოს პალმების ტევრში და წინასწარმეტყველური სამომავლო ხილვებით.

ქვები, ქვები გვინდა!

ღმერთო, გადაგვარჩინე!

**ალეკო ასლანიშვილი**



# სიმართლეს სიცრუის მანქანა ვერასოდეს გაუსწორებს თვალს!

## უწმინდესის სააღდგომო ეპისტოლე

(პირველი გვერდიდან)

**— რა ვიცით ცათა შინა მყოფ მართალთა შესახებ, როგორი სახით არიან ისინი ზეცად?**

— მართალნი არიან უკვდავნი, უხრწნელნი, უვნებელნი და ჩვენთვის მიუწვდომელ სხვა მრავალ სიკეთეთა მქონენი, ოღონდ ნეტარების ხარისხით განსხვავებულნი; თუმცა შევნიშნავთ იმასაც, რომ დიდი წმინდანებიც ჯერ არ არიან სრულ ნეტარებაში, რადგან მათ სულებს, მაცხოვრის აღდგომილი სხეულის მსგავსი, თავისი უკვდავი და უხრწნელი სხეული არ შეუმოსავთ. „ღმერთმა ჩვენთვის უმჯობესი წინასწარ გაითვალისწინა, რათა ისინი (მართალნი) უჩვენოდ არ გამხდარიყვნენ სრულქმნილნი (ებრ. 11, 40)", — წერს პავლე მოციქული.

**— რატომ არის სულით და ხორცით განღმრთობა აუცილებელი?**

— ასეთად შევიქმენით! მაგალითად, ანგელოზები მხოლოდ სულნი არიან. ადამიანი კი თავის თავში აერთიანებს სულსა და ხორცს, ანუ ხილულ და უხილავ სამყაროს. სხეულით იგი მატერიას (ნივთიერ, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს) მოიცავს, სულით კი — ანგელოზთა თანაზიარია. ბუნებითად ყოვლისშემომკრები, ყოვლისმომცველი მხოლოდ უფალია. მან ინება, რომ ჩვენც მსგავსი პატივი გვქონოდა და ამიტომაცაა ადამიანის დანიშნულება განსაკუთრებული.

**— როგორ აღდგება, მაგალითად, ათასი წლის წინათ გარდაცვლილის სხეული, როდესაც მისი ძვლებიც კი შეიძლება აღარ არსებობდეს?**

— მიწაში დაფლული ხრწნადი სხეული სტიქიონებად იშლება, მაგრამ ღმერთი მას კვლავ შემოკრებს და განსხვავებული სახით აღადგენს; როგორც მაგნიტი ქვიშის გორაში გაბნეულ რკინის ნამცეცებს ადვილად გამოარჩევს, ასევე ჩვენი სულიც, უფლის ყოვლისშემძლეობით, თავის უხრწნელ სხეულს შეიმოსავს, როცა ეს ჟამი დადგება.

**— როდის მოხდება ეს?**

— წმინდა ეკლესიის სწავლებით, ეს მოხდება მაშინ, როდესაც ადამიანთა შორის უკიდურესი სიმძაფრით გამოვლინდება ცოდვა და მათი უდიდესი ნაწილისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება სიწმინდეს, ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ღვთის სათნო წეს-ჩვეულებებს..., როდესაც ღვთისა და მოყვასის წმინდა სიყვარულს შეენაცვლება ვნებებისადმი თავაშვებული ლტოლვა და ადამიანები იქნებიან გამორჩეულად ამპარტავანნი, თავისმოყვარენი, ამასთან მგმობელნი, მშობლების ურჩნი, ერთმანეთის მოძულენი, ცილისმწამებელნი, შეურიგებელნი, სასტიკნი, თავხედნი, კეთილის მოძულენი (2 ტიმ. 3, 2-4).

> **„თუ გონება და გრძნობა ტვინის თვისებად მიგაჩნიათ, მაშ, რატომ აღარ მოქმედებს ეს უნარი სიკვდილის შემდეგ, ტვინი ხომ ისევ ადგილზე აქვს გარდაცვლილს"? და დასძენდა: „როგორც სულს ვერ ვხედავთ და არსებობს, ასევე ღმერთს ვერ ვხედავთ და არსებობს. როგორც უსულოდ არ არსებობს სხეულის სიცოცხლე, ასევე უღმერთოდ — საერთოდ ცხოვრება."**

თუმცა ქრისტეს წმინდა ეკლესიას ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ მოერევიან. დიდი განსაცდელების მიუხედავად, იგი ბოლომდე უბიწოდ და შეურყვნელად დაიცავს მაცხოვრის მცნებებს, წმინდა გარდამოცემას, წმინდა მამების სწავლებას, შვიდი მსოფლიო კრებისა და ათი ადგილობრივი კრების განჩინებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს კვლავაც ექნება შესაძლებლობა განწმენდისა და გადარჩენისა; ანუ **იმედი არასოდეს ჩაქრება,** რასაც თავისი უდიდესი ბრწყინვალებით აღდგომის დღესასწაული გვიცხადებს.

რაც შეეხება ქვეყნიერების აღსასრულის ზუსტ დროს, იგი დაფარულია თვით ანგელოზთათვისაც, თუმცა ცალკეული წინასწარი ნიშნები ამ დღის დადგომისა განკაცებულმა უფალმა გვაუწყა.



ბოლო ჟამის შესახებ საგულისხმოა აგრეთვე წმინდა წერილში გადმოცემული ისტორიაც სოდომისა და გომორის შესახებ, სადაც გაბატონებულმა უკიდურესმა გარყვნილებამ და ზნედაცემულობამ ღმერთი იმდენად განარისხა, რომ მათი განადგურება გადაწყვიტა. აბრაამ მამათმთავარი უფალს ევედრებოდა, რომ ამ ქალაქებში თუ ორმოცდაათი, ან თუნდაც უფრო მცირე რაოდენობით იქნებოდნენ მართალნი, არ აღეგავა ისინი პირისაგან მიწისა. უფალმა დაუთმო და ბოლოს ათზე დათანხმდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლოთის ოჯახის გარდა, მართალი არავინ იყო.

ასე რომ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ ვცხოვრობთ, როგორი იქნება ჩვენი რწმენა და სიყვარული; ეს განსაზღვრავს არა მარტო პირადად ჩვენს მომავალს, არამედ — ქვეყნის და მსოფლიოს ხვედრსაც.

**— რა მოხდება მეორედ მოსვლის შემდეგ?**

— მეორედ მოსვლისას საბოლოოდ განისჯებიან ყოველნი — ცოდვილნიც და მართალნიც, რათა არცერთ ადამიანს თავისი სიკეთის ამქვეყნად გამოვლენილი მისხალიც არ დაეკარგოს, მის სახელზე ახლობელთა და სხვათაგან აღსრულებული ქველი საქმენი მიეთვალოს და უკანასკნელი მსჯავრი უკეთესი მიეგოს.

ნეტარების ღირსნი ხდებიან როგორც მართალნი, ასევე ის ქრისტიანები, რომლებიც სინანულით აღესრულნენ, მაგრამ სიცოცხლეში ვერ მოასწრეს, ეჩვენებინათ ამის სათანადო ნაყოფი. ისინი, ღვთის გულმოწყალებითა და ეკლესიის შუამდგომლობით, მიიღებენ ცოდვათა შენდობას.

ხოლო შემდეგ, უხრწნელი სხეულით შემოსილნი, ხატნი და მსგავსნი უფლისა, კვლავ გააგრძელებენ ღვთისკენ დაუსრულებელ სწრაფვას, რა თქმა უნდა, სხვა სახით და სხვა მდგომარეობით, დანარჩენნი კი მარადიულ სატანჯველს დაიმკვიდრებენ.

სწავლების მიხედვით, თავის გარდაქმნილ, უკვდავ და უხრწნელი თვისებების მქონე სხეულებს, მართალთა მსგავსად, ღვთისაგან განდგომილი ცოდვილნიც შეიმოსავენ, მაგრამ მოუნანიებელ დანაშაულთა და ვნებათა სიმძიმე მათ დაუსრულებელ ტანჯვას განაპირობებს, როგორც მათი ნებაყოფლობითი არასწორი არჩევანისა და მოქმედების შედეგს.

ეკლესიაში მაცხოვრისა და მისი მოწაფეებისაგან დადგენილი ნათლობის წესის აღსრულებით ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება და სულიწმინდის ნიჭის თანაზიარი ამ ქვეყნად ყველა მართლმორწმუნე ხდება; ამასთან, ადამზე აღმატებულის, რადგან ეს მადლი ჩვენს პირველმშობლებს საჩუქრად, დამსახურების გარეშე, ჰქონდათ დედამიწაზე, ედემში; ქრისტიანებს კი იგი ეძლევათ მაცხოვრის უდიდესი გამომსყიდველი მსხვერპლისა და პირადი სულიერი ღვაწლის შედეგად და ამასთან, მარადიული ნეტარების დასამკვიდრებლად; მაგრამ მის შენარჩუნებას ბოროტის მიერ დაგებული ათასგვარი განსაცდელის გამო, მცირედნი თუ აღწევენ.

ამიტომაც ნათლობა არ არის საკმარისი ჩვენს გადასარჩენად და შემოქმედთან აღდგენილი კავშირის შესანარჩუნებლად. მითუმეტეს დღეს, როდესაც განსაკუთრებით დამძიმდა დრო და ჩვენი ცოდვებიც, მხოლოდ აუცილებელია მაცხოვრის მიერ ბოძებული ასევე უდიდესი საიდუმლოც სინანულისა, რომლის მადლითაც უფალი შეიწირავს რა ჩვენს გულწრფელ აღსარებას, ღირსგვყოფს დაუსჯელად მივიღოთ წმინდა ზიარება და ცოდვებიც აღგვეხოცოს.

სამწუხაროდ, ყოველთვის იყვნენ და ახლა, მითუმეტეს, მრავლად არიან კადნიერნი, რომელნიც უარყოფენ ღვთის არსებობას, ან შემოქმედს სამართალს უწუნებენ და მიაჩნიათ, რომ თვითონ უნდა შექმნან ახალი რეალობა, ახალი სამყარო.

ათეისტური სულისკვეთების მქონენი ეყრდნობიან თავის გონებას და იმ მონაცემებს, რისი შეცნობის საშუალებასაც ჩვენი გრძნობის ხუთი ორგანო იძლევა; მათ არ იციან და არც სურთ იცოდნენ რაიმე ადამიანის ბუნების საუკეთესო და ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე — სულიერ ცხოვრებაზე. მათთვის სიტყვა „ცოდვა", „განწმენდა-კათარზისი" ისეთივე გაუგებარია, როგორც „თავმდაბლობა" ან „სინანულის განცდა". ასეთთა შორის, როგორც წესი, სხეული და მიწა ბატონობს და არა ზეცა და სული.

ჯერ კიდევ ბრძენი სოკრატე ამგვარ კითხვას სვამდა ურწმუნოთა მიმართ: „თუ გონება და გრძნობა ტვინის თვისებად მიგაჩნიათ, მაშ, რატომ აღარ მოქმედებს ეს უნარი სიკვდილის შემდეგ, ტვინი ხომ ისევ ადგილზე აქვს გარდაცვლილს"? და დასძენდა: „როგორც სულს ვერ ვხედავთ და არსებობს, ასევე ღმერთს ვერ ვხედავთ და არსებობს. როგორც უსულოდ არ არსებობს სხეულის სიცოცხლე, ასევე უღმერთოდ — საერთოდ ცხოვრება."

რა თქმა უნდა, შეიძლება იცხოვრო ქრისტეს გარეშე, მისი სწავლების გარეშე, აქციო შენი თავი ვნებების სათარეშოდ, მაგრამ სიკვდილს ვერ დაემალები და ვერც საშინელ სამსჯავროს გადურჩები.

გარდაცვალება წერტილს უსვამს ჩვენს ყველა მიწიერ ოცნებასა და წარმავალ სურვილს; სიკვდილით აზრს კარგავს ყველაფერი, რაც ასე გვიყვარდა და შევნატროდით, ან რაც გვძულდა და სასიკვდილოდაც გვემეტებოდა. სამარესთან ამსოფლურ საცდურთა ნიღბები ცვივა და მწარე რეალობა დგება.

დღეს, როდესაც მსოფლიოში ათეისტური ტალღა გაძლიერდა და მისი გავლენა ჩვენს ქვეყანაშიც იგრძნობა, თვალნათელი გახდა, როგორ დეგრადირდება ადამიანი უფლის გარეშე, როგორ ადვილად გადაგვარებადია იგი, როგორი უგუნური და თვითგანადგურებისაკენ მიდრეკილი ხდება ის.

ბოროტი ძალა, შეფარვით თუ აშკარად, ყოველთვის ებრძოდა ჭეშმარიტებას, მაგრამ XX საუკუნიდან ამან განსაკუთრებული სახე მიიღო: ჯერ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის სახით გაბატონდა ათეიზმი, რომელიც კატეგორიულად და ძალმომრეობითად უარყოფდა ღმერთს და, ამასთან, სიცრუეზე დაყრდნობით, ქმნიდა თავისთვის სასურველი „სანიმუშო, ზნეობრივი ადამიანების" სახეებს; მათი საშუალებით კი გარკვეულ ორიენტირს უსახავდა ცალკეულ პიროვნებებსაც და საზოგადოებასაც.

ახლა კი, შეიძლება ითქვას, გამოცხადებულია სრული თავისუფლება როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა მიმართ, მაგრამ ამ სივრცეში მკვეთრად იგრძნობა ღვთის

უარმყოფელთა სითამამე; ისინი სრული თავაშვებულების პროპაგანდას აქტიურად ეწევიან ყველა საშუალებით და ცდილობენ, ეს ქმედება სიმართლისა და სიკეთის სახელს დაუკავშირონ, რათა თავისი გაუკუღმართებული შემოთავაზებანი ხალხისთვის მისაღები გახადონ.

საერთოდ, ცოდვა როგორც მადლი, გადამდებია და ამის ნაყოფს უკვე ვიმკით საზოგადოების ყველა ფენაში.

თუმცა სიმართლეს სიცრუის მანქანა რეალურად ვერასდროს გაუსწორებს თვალს, მოტყუებით კი — მრავალთ აცდუნებს. ამიტომაც აუცილებელია საღვთო ჭეშმარიტების ცოდნა, თანაც ღრმა ცოდნა, რადგან ბოროტი ძალა ამ მხრივაც ფრიად მანიპულირებს.

დღეს მორწმუნე ადამიანს დიდი მოთმინება მართებს, რომ ამდენ ტყუილს, ცილისწამებასა და ღვარძლს გაუძლოს და თვითონაც არ გადაგვარდეს. ჩვენი შესაძლებლობებით ეს მიუღწეველია, ღვთის დახმარებით კი — შესაძლებელი. აუცილებელია, უფალთან სულიერი, ლოცვითი ურთიერთობა, ბიბლიისა და წმინდა მამების დარიგებების კითხვა, რომ განვმტკიცდეთ და შეწევნაც ღვთისა მივიღოთ.

აღდგომა გამაერთიანებელია კაცობრიობის წარსულის, აწმყოსი და მომავლისა. ჩვენს წინაშე ძველი აღთქმა წარმოჩინდება, როგორც დაფარული ახალი აღთქმა, ახალი აღთქმა კი, — როგორც განცხადებული, აღსრულებული ძველი აღთქმა.

ბიბლია იწერებოდა დაახლოებით 1400 წლის მანძილზე სხვადასხვა ავტორისაგან: ნასწავლთა და უსწავლელთა, მეფეთა და მიწათმოქმედთა, სახელმწიფო მოხელეთა, მწყემსთა და მეთევზეთა მიერ. იგი შედგება ისტორიის, წინასწარმეტყველებების, ეპისტოლეების, კანონებისა და რელიგიურ-ზნეობრივი დარიგებებისაგან. მაგრამ თავიდან ბოლომდე ამ შეუდარებელ წიგნს გასდევს ერთი და იგივე ღვთივგანბრძნობილი სულიერი სწავლება, ერთი და იგივე აზრი და დანიშნულება.

ნათქვამის ნათელსაყოფად მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიტანთ:

წმინდა ილია, ისაია და დანიელი, იონა, დავით მეფსალმუნე და სხვა წინასწარმეტყველნი პირდაპირ წერდნენ მაცხოვარზე, ახალ სჯულზე და მის მეუფებაზე.

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის დასაწყისში ნაუწყებია ერთარსება სამპიროვანი ღმერთის შესახებ, რომელიც ახალ აღთქმაშია განცხადებული.

იესო ქრისტე იწოდება ძედ დავითისა და აბრაამისა, რითაც საღვთო საკვრელით იკვრება ეს წმინდა წიგნი.

ამასთან, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში ერთი და იგივე მცნებებია უმთავრესად მიჩნეული: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა, ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება. მეორეა: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი." (მარკ. 12, 30-31; შდრ. II სჯ. 6,5. ლევიტ. 19,18). შევნიშნავთ, რომ ქრისტიანისთვის მოყვასი არის ყველა ადამიანი, მათ შორის პირადი მტერიც.

სიყვარული ეს არის ყველაზე ამაღლებული გრძნობა, სხვისადმი ერთგულად მსახურების თავისუფალი არჩევანი. თუ ჩვენს ქმედებაში ადგილი აქვს შიშს, ან სხვა რაიმე ზეწოლას, ანგარებას, პირფერობას ან ეგოისტურ გამოვლინებებს, ეს სიყვარული აღარ იქნება ღვთისსათნო, გულწრფელი, მართალი და თავისუფალი. მაგალითად: ვერასოდეს ვერ ვუწოდებთ სიყვარულს იმ ურთიერთობას, სადაც ადგილი აქვს ამპარტავნებას, შურს, ავხორცობას, ხელმრუდობას, ლოთობას, ნარკომანიას, ამ და სხვა მავნე მიდრეკილებით გაერთიანებულ ადამიანთა კავშირს, რადგან სინამდვილეში ეს ყოველივე არის ვნებების მონობა და ჭაობივით ჩამთრევი მანკიერებების ტყვეობა.

სიყვარული და თავისუფლება აუცილებელი პირობაა შენში ღმერთის სისავსის გამოვლენისთვის.

გვიყვარდეს ღმერთი ნიშნავს, მთელი არსებით, გაცნობიერებულად და გულწრფელად გვიყვარდეს ყველაფერი მის მიერ ქმნილიც; ეს კი აუცილებელ პირობად, ასევე, გულისხმობს ჩვენი „მეს" ბატონობისაგან გათავისუფლებას, საკუთარ თავზე ორიენტირებულობის რადიკალურად შეცვლას და ამაში სიხარულისა და ბედნიერების პოვნას.

ეგოიზმისაგან თავის დაღწევა ადვილი არ არის. ბრძენი ადამიანები გვირჩევენ, რომ ჯერ უნდა შევიყვაროთ ზოგადი ღირებულებები და ვიღვაწოთ ცხოვრებაში მათი დამკვიდრებისთვის; მაგალითად, როგორიცაა: სიმართლე, თავისუფლება, მშვიდობა, სოციალური სამართლიანობისთვის ზრუნვა, სამშობლოს კეთილდღეობა... და ა.შ.

ავიღოთ თუნდაც თაობათა შორის ურთიერთობა; იგი ყოველთვის გარკვეულ სირთულეებს შეიცავდა, რადგან უფროსებს ჰგონიათ, რომ მათ აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება და უკეთესად იციან, რა უნდა აკეთონ შვილებმა. შვილებს მიაჩნიათ, რომ მათ თვითონ უნდა განსაზღვრონ თავისი ყოფა და პირიქით, ბევრ რამეს უწუნებენ მშობლებს.

თაობათა ურთიერთობა მანამდე იქნება პრობლემური, ვიდრე ორივე მხარე ერთმანეთში არ დაინახავს იმ უმნიშვნელოვანესს, რაც პირადად მათ აკლიათ და რაც შეიძლება და აუცილებელიცაა, ისწავლონ ერთმანეთისაგან. ის, რომ მშობლებს და ასაკოვან ადამიანებს ბევრი რამ უნახავთ და ადამიანური ურთიერთობების მხრივ მეტი ცოდნა აქვთ, ბუნებრვია, მაგრამ ახალგაზრდები, რომ უფრო გაბედულნი, ზოგჯერ რადიკალურნიც არიან, ამასთან, აქვთ ახალი იდეები, ახალი ხედვა, ახალი მისწრაფებები — ესეც ფაქტია. უფროსების ვალია, მათი შემოთავაზებებიდან სწორი არჩევანი გააკეთონ, დაინახონ მათში რეალური სასიკეთო შედეგები და მომავალ თაობას დაეხმარონ გზის გაკაფვაში. თანამშრომლობა და ურთიერთშევსების საჭიროება უნდა იგრძნოს ორივე მხარემ. **ეს ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა.**

შემდეგ ეტაპზე კი უფრო ადვილია შევიყვაროთ სხვა პიროვნება; ეს კი ნიშნავს დავინახოთ მასში განუმეორებელი, განსაკუთრებული ღირებულებები და ეს დავაფასოთ. ადვილი არ არის შური, თავდაჯერებულობა, სხვისი დამცირებით თავის უპირატესად წარმოჩენის სურვი-

**ეგოიზმისაგან თავის დაღწევა ადვილი არ არის. ბრძენი ადამიანები გვირჩევენ, რომ ჯერ უნდა შევიყვაროთ ზოგადი ღირებულებები და ვიღვაწოთ ცხოვრებაში მათი დამკვიდრებისთვის; მაგალითად, როგორიცაა: სიმართლე, თავისუფლება, მშვიდობა, სოციალური სამართლიანობისთვის ზრუნვა, სამშობლოს კეთილდღეობა... და ა.შ.**



ლი, ამპარტავნება, და სხვა ამგვარი თვისებანი დამაბრკოლებელ გარემოებად არ გვექცეს; ამიტომაც სიკეთის ქმნასთან ერთად, აუცილებლად, უნდა ვიმუშაოთ ჩვენს თავზეც.

ეგოიზმის დაძლევის და სწორი სულიერი განვითარების მაჩვენებელია ისიც, თუ როგორია სამშობლოსადმი ჩვენი დამოკიდებულება.

დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით რამდენიმე სახის შეტევა ხორციელდება: ერთნი, გარეშე ძალებისაგან ხელშეწყობილნი, აღვივებენ სეპარატისტულ სულს და ქვეყნის დანაწილების თეორიებს ქმნიან; მეორენი პატრიოტიზმის სახელით არასწორ მიმართულებებს ავითარებენ და ამ გრძნობას დამახინჯებულ სახეს აძლევენ; სხვანი კი ზოგადადამიანური ღირებულებებით გვესაუბრებიან და პატრიოტიზმს ჩამორჩენილობად თვლიან.

არ არსებობს აწმყო წარსულის გარეშე. ნებისმიერი ღირსეული პიროვნებისთვის სამშობლოს ისტორიის ცოდნა აუცილებელი პირობაა; სახელმწიფოსთვის კი — სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი გარანტი, რადგან ეს ცოდნა, სწორ აზროვნებასთან შეერთებული, აღძრავს ისეთ გრძნობებს, როგორიცაა იდეისთვის უანგარო მსახურება, ერთგულება, ვაჟკაცობა, გონიერება, თავდადება.., რაც ბოროტის მცდელობას, თავისთავად, წარუმატებელს ხდის; ამასთან, საზოგადოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ „ვისაც თავისი ქვეყანა არ უყვარს, მას არავისი სიყვარული არ ძალუძს" (ჯ. ბაირონი), „სამშობლოს ნამდვილი სიყვარულის გარეშე კი კაცობრიობის ნამდვილი სიყვარული არ არსებობს" (ა. ფრანსი).

ცხონების გზა ვიწროა და ძნელად სავალი, მაგრამ მეტად საინტერესო და მიმზიდველი. ეს არის მუდმივი გამოცდა და ბრძოლა ბოროტი ძალის სხვადასხვა გამოვლინებასთან: იგი შენს შესაძლებლობებს სულ სხვა კუთხით დაგანახებს და, სწორად მოქმედების შემთხვევაში, ღვთის მადლი იმდენად აღგავსებს, რომ მას ვეღარ განეშორები. ამასთან, ისე შეიცვლები, რომ ყოველგვარი გაჭირვება შიშით კი არა, სულიერი სიმშვიდითა და სიძლიერით განგმსჭვალავს და ვეღარაფერი დაგამარცხებს. მაშინ შენი ღვაწლი, მაცხოვრის მაცხოვნებელ მადლს შეერთებული, ღვთის ნეტარებას დედამიწაზევე გაგრძნობინებს და შენს უდიდეს მიზანსაც აღგასრულებინებს.

— **და რაში მდგომარეობს იგი?**

— განღმრთობაში, ძალისამებრ ჩვენისა, ღვთის მიბაძვაში!

ეს არის ნებისმიერი ადამიანის მთავარი დანიშნულება, ეს არის მოწოდება, რომლის წინაშე ყველა სხვა მიწიერი ზრუნვა, სურვილი და განსაცდელი უნდა გაუფერულდეს.

ღმერთი სრულყოფილია, ჩვენც გვმართებს, მუდამ ვისწრაფვოდეთ სრულყოფილებისაკენ და ვცდილობდეთ იმ ნიჭის სრულად გამოვლენას, რაც უფლისაგან მოგვეცა; იქნება ეს: მიწათმოქმედება, სხვა ფიზიკური შრომის უნარი, სწავლა, მეცნიერული აზროვნება, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მუშაკობა, პედაგოგობა, ექიმობა, მშენებლობა, ქვეყნის მსახურება, ღვთის მსახურება... მოციქული ამიტომაც გვარიგებს: ყველაფერი რასაც გააკეთებთ, გააკეთეთ როგორც ღვთისთვის, მთელი სულითა და გულით (კოლ.3,23).

რაოდენ მადლიერნი უნდა ვიყოთ უფლისა, რომელმაც საოცარი, ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი, წყალობა მოგვცა — თავისი უნაპირო სიყვარულის გამო ჩვენთვის დაითმინა ტანჯვა, წამება, შეურაცხყოფა, დამცირება, ჯვარცმით სიკვდილი და აღდგომითა და ამაღლებით მოგვანიჭა სრულქმნის შესაძლებლობა. და რაოდენ უგუნურნი და უმადურნი ვიქნებით, თუ ეს ვერ გავაცნობიერეთ და ამაოებაში დავინთქით?!

პასექამდე, სვიმონ კეთროვნის სახლში ყოფნისას, იესო ქრისტეს ერთი ცოდვილი ქალი მორიდებით მიუახლოვდა, ცრემლით დაალტო მისი ფერხნი, დაასხა ძვირფასი ნელსაცხებელი და თავისი თმით დაუწყო შემშრალება.

ამის მხილველმა მოციქულებმა გულისწყრომა გამოხატეს, რადგან ფიქრობდნენ, უმჯობესი იყო ეს სურნელოვანი ზეთი გაეყიდათ და საფასური გლახაკთათვის დაერიგებინათ.

ქალის გულწრფელი ქმედება კი მაცხოვარმა ასე შეაფასა: „მთელ ქვეყანაზე, სადაც იქადაგება ეს სახარება, ყველგან ითქვას.., რაც მან გააკეთა, მის მოსახსენიებლად" (მათე 26,13).

ინებოს ღმერთმა, ცოდვაში მყოფმა ყველა ადამიანმაც, ამ ქალის მსგავსად, ადრე თუ გვიან, შეიცნოს ღმერთი, თავისი ნელსაცხებელი მიართვას მას და, მამასთან დაბრუნებული უძღები შვილივით, შეიმოსოს სამოსელი პირველი.

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ქისტნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, — ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ადიდეთ და „უგალობეთ ღმერთს თქვენს გულებში მადლიერებით." (კოლას. 3,16); და სასოებით „ჰმადლობდეთ მამას, რომელმაც გვიხსნა ბნელის ხელმწიფებისგან და შეგვიყვანა თავისი სიყვარულის სამეფოში, რომელშიც გვაქვს გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება" (კოლას. 1, 12-14).

მაშ, „შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯარი და ხსნის იმედის მუზარადი." (თესალ. 1,58), რადგან ქრისტე აღდგა!

**გიხაროდეთ!**

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,**
**მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,**
**ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი**

თბილისი, აღდგომა ქრისტესი,
28.04.2019.

# ბოროტად გამოყენებული რწმენა




ქრისტიანობამდელი, ადრეული შუა საუკუნეების, შუა საუკუნეებისა და XVI-XVII საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლი გარეჯის უდაბნო დღეს ქართველი მლოცველებისთვის, ტურისტებისა და დიპლომატებისთვის მიუღწევადია. მას დარაჯობს აზერბაიჯანის მესაზღვრეთა შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფლების განცხადებით, გზას გაათავისუფლებს 5 მაისამდე (თამარ მეფის სულ 4 ფრესკული პორტრეტი არსებობს: ვარძიაში, ყინწვისში, ბეთანიაში და გარეჯის უდაბნოში — ბერთუბნის ლავრაში. აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ჩვენ გვიკეტავენ გზას ჩვენი მეფის პორტრეტისაკენ, ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე). ამგვარად, მომავლისათვის ეს მხარე და კულტურის ეს ძეგლი ქართული საზოგადოებისთვის და მკვლევარებისთვის მიუწვდომელი ხდება. ამ კონტექსტში იძულებულნი ვართ შემდეგი სამწუხარო კონსატატაცია მოვახდინოთ.

საქართველოს ტერიტორიის მრავალათასობით კვ/კმ. ამიერკავკასიის მთლიანი დაპყრობის შემდეგ დამპყრობელმა ბოლშევიკურმა რუსეთმა გადასცა აზერბაიჯანს, როგორც სახელმწიფო ტერიტორია.

დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ საინგილოში ხორციელდება ეთნიკური დივერსია ინგილოთა, ანუ ქართველთა მიმართ. ჩვენ ამ სიტუაციასთან, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ შერიგებას. მაგრამ ამჯერად ეს ჩვენი თემა არ არის. დღეს ჩვენ ვხელმძღვანელობთ საქართველოსა და აზერბაიჯანის მრავალ საერთო ფუნდამენტურ საერთაშორისო ინტერესის არსებობის ფაქტით. გვინდა, ჩვენმა პარტნიორებმა იცოდეთ, რომ სამხედრო გამარჯვებები აზერბაიჯანს ჩრდილოეთისკენ და დასავლეთისკენ ძალიან მცირე ალბათობით თუ ექნება, რადგან გამარჯვებები არ ექნება თურქეთს და არ ექნება იმიტომ, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, მან, ფაქტობრივად, სტრატეგიულ პარტნიორად რუსეთი აირჩია. როგორც ჩვენს მეგობარსა და პოტენციურ მოკავშირეს, თავს უფლებას ვაძლევთ, აზერბაიჯანის ხელისუფლებას ერთი რჩევით მივმართოთ — დაუფარავ აგრესორსა და კანონდამრღვევ რუსეთს ამ ბოლო ხანებში ერთი კოლოსალური გამარჯვება აქვს მოპოვებული. მან შექმნა კასპიის ზღვის გარშემო მდებარე სახელმწიფოთა ქმედითი პოლიტიკური კავშირი, რომელიც მონოპოლიურ უფლებას იკუთვნებს, შეიარაღებული ძალა იქონიოს კასპიის ზღვაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აზერბაიჯანი, როგორც სახელმწიფო, ძალიან მოიგებს, თუ გამოვა ამ ხელშეკრულებიდან და დემოკრატიული დასავლეთის დახმარებით თვითონ შექმნის კასპიის შელფისა და ფსკერის დაცვის ქმედით სისტემას. ეს საქართველოსთვისაც მრავალმხრივ მომგებიანი იქნება.

თავს უფლებას ვაძლევთ, ჩვენი აზრი მოგახსენოთ კულტურისა და ეთნოლოგიის სფეროშიც. აზერბაიჯანის საზოგადოებრივ ცნობიერებაში და სახელმწიფო პოლიტიკაში ფართოდ გავრცელებულია რწმენა, რომ დღევანდელი აზერბაიჯანის ტეიტორიაზე დარჩენილია „ალბანური კულტურის" ნაშთები. ეს რწმენა ბოროტად გამოყენებულია იმისათვის, რომ ქრისტიანული ძეგლები, რომლებიც აქ მხოლოდ ქართულია, ალბანურად გამოაცხადონ და ამით მოიპოვონ ამ ძეგლთა ნებისმიერი ფორმით განკარგვის, მათ შორის — განადგურების უფლება. ამ ჰიპოთეზის მეცნიერული წონა ნულია. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის მოსახლეობის ვინაობა ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე და მის მიდამოებში კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. ინფორმაციის ერთადერთი რეალური წყარო ჩვენ გვაქვს იმ ფაქტის სახით, რომ აქ ცხოვრობენ უდები, მაგრამ უდები არიან კავკასიელები. მათი ენა ეკუთვნის კავკასიურ ენათა ჯგუფს — სხვა ყოველისგან ყველაზე მკაფიოდ გამოყოფილ თვალსაცემად განსხვავებულ ჯგუფს დედამიწის ზურგზე.

რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, მათი წარმოშობის ადგილი არის ცენტრალური აზია (გავიხსენოთ ფირდოუსი, რომელმაც უმღერა „ირანს" და „თურანს" შორის მრავალსაუკუნოვან ომებს შუა აზიაში). ეს მოსახლეობა არის მოსული ნაწილობრივ თავისით, ნაწილობრივ შემდგომში შემოსახლებულია ირანის შაჰთა მიერ პოლიტიკური მიზნით...

ეს თემა დღეს ჩვენი მსჯელობის საგანი არ არის!

**მამუკა გიორგაძე,** საქართველოს სახალხო პარტიის თავმჯდომარე;

**თენგიზ დიხამინჯია,** ტექნიკის დოქტორი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი;

**მერაბ ვაჩნაძე,** ისტორიკოსი, პროფესორი;

**პაატა კოღუაშვილი,** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი;

**ჯუმბერ კოპალიანი,** ისტორიკოსი, პროფესორი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი;

**ნოდარ ნათაძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი, საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე;

**გურამ ნიკოლაიშვილი,** გენერალ-ლეიტენანტი;

**ოთარ ჟორდანია,** ისტორიკოსი, პროფესორი;

**მამული ჟღენტი,** ინჟინერ-მიწათმომწყობი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი;

**თამაზ ყურაშვილი,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი;

**ნიკოლოზ სანებლიძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი.

for.ge

# რუსეთის საფრთხის ფონზე ევროპაში იზრდება სამხედრო დაფინანსება



**უკრაინასა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კიდევ რამდენიმე ქვეყანაში 2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო დაფინანსება, დიდწილად, რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხის აღქმის გამო,** — იუწყება წამყვანი კვლევითი ინსტიტუტი ახალ ანგარიშში.

სტოკჰოლმში დაფუძნებულმა მშვიდობის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტმა (SIPRI) 29 აპრილს განაცხადა, რომ შარშან უკრაინაში სამხედრო დაფინანსება 21 პროცენტით გაიზარდა და 4.8 მილიარდ დოლარს გაუტოლდა, რაც, პროცენტული თვალსაზრისით, ანალოგიურია ბულგარეთში, რუმინეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში არსებული ვითარებისა.

**„ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დაფინანსების ზრდა, დიდწილად, გამოწვეულია რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხის მზარდი აღქმით",** — ამბობს პიეტერ ვეზემანი, ინსტიტუტის წამყვანი მკვლევარი და დასძენს: **„ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ რუსეთში სამხედრო დაფინანსება შემცირდა ბოლო ორი წლის განმავლობაში"**.

იმ ქვეყნებს შორის, რომელთა სამხედრო დაფინანსება იზრდება, არიან სომხეთი (მოიმატა 33 პროცენტით), ბოსნია-ჰერცეგოვინა (26 პროცენტით), ბულგარეთი (23 პროცენტით), უკრაინა, რუმინეთი (18 პროცენტით) და ყაზახეთი (16 პროცენტით).

ანგარიშის თანახმად, ბულგარეთში, რუმინეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში სამხედრო დაფინანსება 18 პროცენტიდან 24 პროცენტამდე გაიზარდა. პოლონეთში ზრდა 8,9 პროცენტი იყო და ხარჯმა 11,6 მილიარდ დოლარს მიაღწია.

საკუთრივ რუსეთში სამხედრო ხარჯები, 2017 წელთან შედარებით, 3,5 პროცენტით შემცირდა, თუმცა ის მაინც მსოფლიოს ექვს ყველაზე დიდი დაფინანსების მქონე სახელმწიფოს შორისაა, სამხედრო სფეროზე დახარჯული 61,4 მილიარდი დოლარით.

დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი უკრაინა 2014 წლიდან ებრძვის რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტებს, რომლებმაც უკრაინის აღმოსავლეთის ტერიტორიის ნაწილი დაიკავეს. კონფლიქტს 2014 წლიდან 13 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. 2014 წელს რუსეთმა ასევე უკრაინის ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსირება მოახდინა.

სამხედრო სფეროზე ყველაზე მეტს ხარჯავენ აშშ, ჩინეთი, საუდის არაბეთი, ინდოეთი და საფრანგეთი.

სომხეთის სამხედრო ბიუჯეტი, 609 მილიონი, მშპ-ის 4,8 პროცენტს უტოლდება. ამ კუთხით, ფარდობითი მაჩვენებლით, სომხეთი მსოფლიოს 10 ქვეყანას შორისაა. ამავე სიაშია რუსეთიც, მშპ-სთან შეფარდებით, 3,9 პროცენტით.

ირანში 2018 წელს სამხედრო დაფინანსებამ 9,5 პროცენტით დაიკლო და 13,2 მილიარდ დოლარს გაუტოლდა, იმ ფონზე, როცა ქვეყნის ეკონომიკასა და ვალუტას ზარალი მიადგა აშშ-ის მიერ აღდგენილი ფინანსური სანქციების გამო. ვაშინგტონი თეირანს ბრალს სდებს ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში, გაეროს რეზოლუციების დარღვევით და რეგიონში ექსტრემიზმის მხარდაჭერაში. თეირანი ამ ბრალდებებს უარყოფს.

მთელი მსოფლიოს ერთიანი მონაცემით, ანგარიშის თანახმად, სამხედრო დაფინანსება 2,6 პროცენტით გაიზარდა და 1 822 ტრილიონი დოლარი შეადგინა, ანუ გლობალური მშპ-ის 2,1 პროცენტი.

აშშ-ში 2010 წლის შემდეგ პირველად გაიზარდა სამხედრო დაფინანსება, 6,4 პროცენტით. მან 649 მილიარდ დოლარს მიაღწია — მშპ-ის 3,2 პროცენტს.

ჩინეთში სამხედრო დაფინანსება უკვე 24 წელია სტაბილურად იზრდება. 2018-ში მან 5 პროცენტით მოიმატა და 240 მილიარდი დოლარი შეადგინა. რაც შეეხება საქართველოს, ამავე ორგანიზაციის საიტზე გამოქვეყნებულ მონაცემთა ბაზაში მოტანილი ინფორმაციით, 2017 წელს სამხედრო ბიუჯეტი 308 მილიონ დოლარს შეადგენდა, 2018 წელს — 312 მილიონ დოლარს.

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

ფრენბურთი



# ცაგერმა ჩემპიონობა შეინარჩუნა

**ოლიმპიურ ჩემპიონ ვაჟა კაჭარავას სახელობის ფრენბურთის დარბაზში (თბილისი) დამთავრდა საქართველოს ვაჟთა 2018-2019 წლების 28-ე ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპი უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. რეგულარული პირველობის შემდეგ მედლებისთვის ბრძოლის უფლება ოთხმა გუნდმა დაიმსახურა. ნახევარფინალში ცაგერმა ქუთაისი დაამარცხა 3:1 და ფინალში გავიდა, სადაც მასპინძელთა მძლეველ (3:0) ბათუმს დაუპირისპირდა.**

გადამწყვეტი პაექრობა დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, თუმცა, ლეჩხუმელები (მწვრთნელი თემურ ჭაბუკიანი, დირექტორი გია სილაგაძე) ამ მატჩისთვის უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ, 3:0 გაიმარჯვეს და ქვეყნის ჩემპიონობა ზედიზედ მეორედ მოიპოვეს. ზღვისპირელებს ვერცხლის მედლები ერგოთ, ხოლო მესამე ადგილი ქუთაისმა დაიკავა, რომელმაც „ბრინჯაოსთვის" პაექრობაში დედაქალაქელებს 3:0 აჯობა.

**გივი გაგუა**

ჰოკეი

# B ჯგუფში დავრჩით

**საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრებმა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონის პირველობა მოიგო და 2019 წლის ჩემპიონატში II დივიზიონის B ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. ეს შეჯიბრება მექსიკურ სანტა ფეში გაიმართა და ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ მეორე დივიზიონის A ჯგუფის ერთადერთი საგზურისთვის. საქართველოს ნაკრებმა ხუთიდან ორ შეხვედრაში გაიმარჯვა — დაამარცხა მექსიკა — 3:2 და ჯგუფის ფავორიტად შერაცხული ისლანდია — 6:3. არადა, ამ ორთაბრძოლას თავიდან 0:3-ს აგებდა. ჩვენგან შაიბები მიითვალეს არტიომ კოზიულინმა ალექსანდრე ჟუჟუნაშვილის პასით, მერე — ჟუჟუნაშვილმა კოზიულინის ზუსტი გადაცემით, ასევე, ოლივერ ობოლგოგიანმა (2), არტიომ კურბატოვმა და ალექსანდრ ვასილჩენკომ. დანარჩენ სამ შეხვედრაში ჩვენები დამარცხდნენ: ჩრდილოეთ კორეასთან — 4:9, ახალ ზელანდიასთან — 2:6 და ისრაელთან — 3:7. საბოლოოდ „ჯვაროსნებმა" 6 ქულით მე-4 ადგილი დაიკავეს და ჯგუფში ადგილი შეინარჩუნეს. მეორე დივიზიონის A ჯგუფის საგზური ისრაელმა დაიმსახურა, ხოლო მესამე დივიზიონში ჩრდილოეთ კორეის გუნდი დაქვეითდა.**

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: ისრაელი — 14, ისლანდია, ახალი ზელანდია — 9-9, საქართველო — 6, მექსიკა — 4, ჩრდილოეთ კორეა — 3 ქულა.

**ლაშა დიდია**



თენგიზ გაჩეჩილაძე — 80

# ამაგდარი რვა ათეული წლის გადასახედიდან

**ამას წინათ ქართველებისთვის საყვარელ გაზეთ „ლელოს" 85 წელი შეუსრულდა. მხოლოდ ხუთი წელიწადია სხვაობა გაზეთსა და ყველაზე სტაჟიან ლელოელ თენგიზ გაჩეჩილაძეს შორის. ბატონი თენგიზი — საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ნიკო ნიკოლაძისა და მიხეილ კაკაბაძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის, სეოკის მედლის კავალერი, 1994 წელს ლილეჰამერში ზამთრის თამაშებზე, საიდანაც საქართველომ ოლიმპიადებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ათვლა დაიწყო, ჩვენი ქვეყნის პირველი ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი, და „ლელო" 60 წელიწადზე მეტია, ერთად მოდიან 31 წელიწადი ამ გაზეთის რედაქტორი იყო, ამჟამად კი საპატიო რედაქტორია. ალბათ, სიმბოლურიცაა, რომ ორივეს საიუბილეო თარიღი აპრილში (13 და 28) ჰქონდა.**

— ბედნიერი ვარ, რომ ექვსი ათეული წელიწადი გაზეთთან თანამშრომლობას შევალიე. „ლელო" ჩემთვის, მართლაც, ყველაფერია. აქ მუშაობა ქართული სპორტის სამსახურში გატარებულ წლებად მიმაჩნია. გაზეთი „ლელო" არის ქართული სპორტის მემატიანე; დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სასპორტო ტერმინოლოგიის დახვეწაში; გამოირჩევა ენის სიწმინდის დაცვით; ჩვენი გაზეთი იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების, ქართული ფეხბურთის საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ორგანიზატორი;



1991 წ. შვეიცარია. შეხვედრა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩთან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღიარების საკითხთან დაკავშირებით

**— გაჭირვების პერიოდში თქვენ „ლელოს" პოპულარობის შენარჩუნება შეძელით, არადა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეს ადვილი არ იყო...**

— „ლელო", ალბათ, ერთადერთი ქართული გაზეთია, რომელიც შემორჩა სახელის, ფორმატის და ადრინდელი პერიოდულობის შეუცვლელად, მეტიც, გახდა მრავალგვერდიანი, გაფერადდა, ოღონდ... არ გაყვითლებულა. მისი შენარჩუნება,უპირველესად, „ლელოს" გულშემატკივართა და ქართველი კოლეგების, რა თქმა უნდა, უპირატესად, ლელოელთა, ასევე, ოჯახის თანადგომით შევძელი. ბევრი წვალება გამოვიარეთ. საბედნიეროდ, დღეს ყველაფერი ეს მხოლოდ მწარე მოგონებად დარჩა. მიხარია, რომ ჩვენი გაზეთი ლაღად შლის ფრთებს და ახალი სიმაღლეებისკენ მიილტვის. წლების წინათ საპარტნიორო ვალდებულების თხოვნით მივმართე „მედიაპალიტრას". მიგვიღეს დიდ ოჯახში, მადლობის მეტი რა მეთქმის — დღეს ჩვენი გაზეთი მყარად დგას ფეხზე...

და ეს მაინც გამორჩეულად თენგიზ გაჩეჩილაძის დამსახურებაა.

თქვენ და გაზეთ „ლელოს" იუბილეს გილოცავთ, ბატონო თენგიზ!

**ლექსო ცინცაძე**

ლეგიონერი



# გოლიც, პასიც

**შვედეთის ალსვენსკანის მეექვსე ტურში გიორგი ხარაიშვილის „გიოტებორგმა" აიკს უმასპინძლა და 3:0 აჯობა. აღნიშნულ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო ჩვენებურმა შემტევმა, რომელმაც მიმდინარე სეზონში პირველი ბურთი გაიტანა.**

შესვენების წინ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გიორგიმ საჯარიმო დარტყმა არაორდინარულად შეასრულა, რასაც მეკარე არ ელოდა და ანგარიშიც გაიხსნა. 65-ე წუთზე მან საგოლე პასიც ჩაიწერა აქტივში და ამჯერად კარლსონმა შეძლო მეტოქის დამწუხრება.

საბოლოოდ „გიოტებორგმა" მეტოქეს მესამეც გაუტანა, დამაჯერებლად მოიგო, 10 ქულა მოაგროვა და მე-5 პოზიციაზე იმყოფება.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ვინ არის მისტერ იქსი?

**ახალგაზრდა ნორვეგიელმა მოდელმა ემა ელინგსენმა, რომელიც ამჟამად ლონდონში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ცოტა ხნის წინათ სრულიად ბრიტანეთის ბულვარული მედია აალაპარაკა და, როგორც თავად ამბობს, ეს ყველაფერი სრულიად დაუგეგმავად და ზედმეტი ეპატაჟურობის გარეშე გამოუვიდა.**

„ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე მან დაწერა, რომ ინგლისში მოთამაშე ერთ-ერთი ცნობილი ფეხბურთელი (რომლის სახელსაც ცოცხალი თავით არ ასახელებს) უკანასკნელი სამი თვის მანძილზე გასაქანს არ აძლევდა და სიყვარულს უხსნიდა.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე გითხარით, ემა იმ ვარსკვლავის ვინაობას არ ასახელებს, „ყვითელმა მოკალმეებმა", რასაკვირველია, საკუთარი ძალებით დაიწყეს მოკვლევა და ამ ძიებისას უამრავი ცნობილი ფეხბურთელის სახელმა გაიჟღერა. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა მედიამ ძიების ობიექტს ვერაფრით მიაგნო. სწორედ ამიტომაც ბუნებრივად ჩნდება ეჭვები, რომ შესაძლებელია ახალგაზრდა სკანდინავიელი ასული პოპულარობის ამ გზით მოხვეჭას ცდილობს. ვინ იცის...

**კობა კობახიძე**



# კოოპერაციის პროცესი საფრთხეშია, ბატონო პრემიერ-მინისტრო!



## ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს მამუკა ბახტაძეს

**კიდევ ერთხელ მოგმართავთ ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გამო, რომელიც ეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს. სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში კოოპერაციის პროცესის მნიშვნელობის შესაბამისად გაზრდილიყო მხარდაჭერა და მომხდარიყო მისი ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, მიღებული იქნა სრულიად არაშესაბამისი, არაკვალიფიციური და ამ პროცესის დამაკნინებელი გადაწყვეტილება, ქვეყანაში კოოპერაციული სისტემის ერთადერთი მაორგანიზებელი და მაკოორდინირებელი უწყების სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ გაუქმების და მისი ფუნქციების სხვა უწყების მიერ შეთავსების შესახებ, რაც იწვევს სერიოზულ შეშფოთებას.**

მიუხედავად მწირი საბიუჯეტო დაფინანსებისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ძალისხმევით ქვეყანაში მიმდინარეობს არაერთი კოოპერაციული პროექტი მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მევენახეობა-მეღვინეობის და თხილის წარმოების მიმართულებით.

კოოპერაციის პროცესის მართვა მოითხოვს კოოპერაციული შიგასაწარმოო ურთიერთობების და სისტემის განვითარების გამოცდილების სპეციფიკურ ცოდნას, რაც სააგენტოს არსებობის 6 წლის განმავლობაში არაერთი ტრენინგის გავლის შემდეგ შეიძინა მისმა პერსონალმა. ამიტომ მაღალ რისკთანაა დაკავშირებული სხვა უწყების მიერ კოოპერაციის პროცესის მართვის ფუნქციების შეთავსება, სადაც არც მმართველ პირებს და არც პერსონალს ამ სფეროში არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია, თუნდაც ამ უწყებაში არსებობდეს ქვედანაყოფი, კოოპერაციის პროცესის მართვის ნარჩენი ფუნქციებით.

დღეს სოფლად არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ძირითადად კოოპერაციული სისტემის გაძლიერებით არის შესაძლებელი სოფლის მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურება, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ფორმების დამკვიდრება, რასაც ავტომატურად მოსდევს სინერგიული ეფექტი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში ჩართულ ყველა პირს ესაჭიროება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების (აგრონომი, აგროეკონომისტი, ვეტერინარი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ტექნოლოგი და სხვა) დახმარება, ისინი ცალ-ცალკე, თავიანთი მატერიალური მდგომარეობის და არაორგანიზებულობის გამო ვერ ქმნიან ლიკვიდურ მოთხოვნას სპეციალისტებზე. ნიშანდობლივია, რომ ეს ხდება მაშინ, როცა კვალიფიციური სპეციალისტების დიდი ნაწილი სამსახურის გარეშეა დარჩენილი, ხოლო შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ სპეციალობებზე სწავლის მსურველთა ოდენობა პერმანენტულად მცირდება. სოფლის მოსახლეობის არსებული მწირი მატერიალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მხოლოდ მათი კოოპერირებით არის შესაძლებელი შესაბამისი ფინანსური რესურსების გაერთიანება, რის შედეგადაც გაჩნდება ლიკვიდური მოთხოვნა დარგის სპეციალისტებზე, რაც თავის მხრივ თვისობრივ გავლენას მოახდენს შესაბამისი საგანმანათლებლო ინსტიტუტების ფუნქციონირებაზეც.

კოოპერაციულ პრინციპზე დამყარებულ საწარმოო ურთიერთობებს განსაკუთრებული და შეუცვლელი ადგილი უჭირავს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვისობრივად ახალ დონეზე გადასვლაში, რაც დასავლური დემოკრატიის ქვეყნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად ითვლება. გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის წარმატებული გამოცდილება იძლევა საკმარის მასალას მათი სამეცნიერო და პრაქტიკული განზოგადებისთვის.

აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით ადეკვატური ქმედითი ღონისძიებების გატარებისაგან, აუცილებლად შექმნის პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობაზე და ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე.

მიმდინარე პერიოდში სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით მაღალმთიანეთში მცხოვრებთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს როგორც ქვეყნის მთავრობის, ასევე სპეციალიზებული ფონდების და დონორი ორგანიზაციების პროექტები დაიგეგმოს ამ მოცემულობის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ინვესტიციების ქმედითუნარიანობა და პროექტების სიცოცხლისუნარიანობა დადგება სერიოზული საფრთხის წინაშე. ამიტომ კოოპერაციის პროცესის წარმატებული განვითარებისთვის აუცილებელია ხელისუფლების სხვა უწყებების, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გატარდეს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები. კერძოდ, უნდა შეიცვალოს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კრიტერიუმი და დადგინდეს, რომ მთის ზონებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება სიმბოლურ ფასად, თუ იგი განახორციელებს ამ ქონების ღირებულების არა 4-ჯერ მეტ (არსებული ნორმა), არამედ მისი ტოლფასი ღირებულების ინვესტიციას, ხოლო მთისწინეთში, ამ ქონების ღირებულებაზე 2-ჯერ მეტს. მაგალითად, მაღალმთიან სოფლებში, სადაც დაწყებულია რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კოოპერატივებს მფლობელობაში ჰქონდეთ ფერმები, სადაც ორგანიზებულად განხორციელდება რძის წარმოების, პირუტყვის კვების, ვეტერინარიის და ჯიშთა განახლების ღონისძიებები. ამით საგრძნობლად შემცირდება როგორც პროდუქციის თვითღირებულება, ასევე სხვადასხვა დაავადების გავრცელებასთან დაკავშირებული რისკები. სოფლებში ჯერ კიდევ არსებობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული მეცხოველეობის ფერმები, რომელებიც დღითი დღე ნადგურდება, რადგან კოოპერატივები ვერ ახორციელებენ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ დადგენილ პირობებს, ოთხმაგი ინვესტირების შესახებ.

აუცილებელია საქართველოში დაარსდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიური დანადგარების დამამზადებელი საწარმო, რომელიც გახდება ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი.

პროგრამები „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „აწარმოე საქართველოში“, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ პროექტები და სხვ. საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტებით განსაზღვრული საწარმოო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის შეძენა ხდება სახელმწიფო ტენდერების საშუალებით, სადაც მონაწილეობას იღებენ შუამავალი კომპანიები, რომლებიც ახდენენ სხვა ქვეყნებში წარმოებული მანქანა-დანადგარების შესყიდვას. აღნიშნული სქემით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აღჭურვილობის შეძენა ხდება ამ მანქანა-დანადგარების მწარმოებლის ფასებზე გაცილებით მაღალ ფასებში. შედეგად ათეულობით მილიონი დოლარი გაედინება ქვეყნის გარეთ და ამასთანავე ხმარდება შუამავლების ინტერესების დაკმაყოფილებას. ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელია ადგილობრივი კვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ურთიერთობები სხვა ქვეყნების ცნობილ კომპანიებთან. პროექტის ფარგლებში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გადამზადება და ფინანსური მხარდაჭერა კაპიტალური ინვესტირების კუთხით, განხორციელდება როგორც პროექტში მონაწილე უცხოური კომპანიის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი პროგრამების და ფონდების მხარდაჭერით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

**1. პირად კონტროლზე აიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის ინსტიტუციონალური განვითარების საკითხი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე რიგი უწყებების რეორგანიზაციის პროცესი. გარდა ამისა, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა გახდეს საჯარო განხილვის საგანი, რომელშიც ჩაერთვებიან სპეციალისტები, აკადემიური და არასამთავრობო სექტორი, როგორც ეს ხდებოდა 2013 წელს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონის მიღების პროცესში;**

**2. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ ცვლილებების შეტანის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების საწარმოო-ტექნოლოგიური დანადგარების დამამზადებელი საწარმოს დაარსების მხარდაჭერის მიმართულებით.**

ჩვენ კი გულწრფელად გამოვხატავთ მზაობას აქტიურად ჩავერთოთ აღნიშნული პროექტის მომზადებაში.



**პაატა კოღუაშვილი,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

# მთავრობა ნამდვილად ცდილობს, მაგრამ მთაში მოსახლეობა მაინც არ ჩერდება!

**საქართველოს მთავრობა ცდილობს, მთიან რეგიონებში მოსახლეობა როგორმე წაახალისოს და მათ ადგილზე დამაგრებას ხელი შეუწყოს, თუმცა აქედან ბევრი არაფერი გამოდის. ხალხს გული ბარისკენ და დიდი ქალაქებისკენ მოუწევთ. სხვადასხვა პროგრამების ამოქმედება მხოლოდ მცირე დროის მონაკვეთში იძლევა არცთუ დიდ ეფექტს.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის მზია გიორგობიანის ინფორმაციით, მთავრობა მაღალმთიანი დასახლების სტატუსით დაფარვის არეალის გაფართოებას გეგმავს. ასეთი დასახლებების ჩამონათვალში საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლები იქნება.

**„ასეთი 19 დასახლებაა, რომელიც აკმაყოფილებს 800 მეტრ ჰიფსომეტრიულ სიმაღლეს და მათთვის ვფიქრობთ მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭებას. აღნიშნული საკითხი განხილული და მოწონებული იქნა მთის საბჭოზე. ახლა პროცედურებს გავდივართ, რომ საკანონმდებლო დონეზეც მოხდეს აღნიშნულის ასახვა.**

**გარდა ამისა, იმ მაცხოვრებლებისთვის, რომლებიც 2000 მეტრზე ან მის ზემოთ მდებარე დასახლებებში ცხოვრობენ, განსხვავებული რეალობა დგას იქ არსებული კლიმატური პირობებიდან გამომდინარე. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დღეის მდგო-**

# როგორ მიდის ერი გადაშენებისკენ!

**2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 723.5 ათასი კაცი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 0.2 პროცენტით შემცირდა.**

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს აღირიცხა დადებითი ბუნებრივი მატება (4 614) და უარყოფითი მიგრაციული სალდო (-10 783).

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 58.7 პროცენტი ცხოვრობდა საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს წარმოადგენდა.




2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 14 წლამდე მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.3 პროცენტს შეადგენდა, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) — 64.9-ს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 14.8 პროცენტს წარმოადგენდა.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მამაკაცების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით პრაქტიკულად უცვლელია და 1 790.9 ათასი შეადგინა, ხოლო ქალების რიცხოვნობა შემცირდა 0.3 პროცენტით და 1 932.6 ათასით განისაზღვრა. საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი მამაკაცი, ხოლო 52 პროცენტი — ქალია.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 92.7-ს წარმოადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92.7 მამაკაცი მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ 35 წლამდე ასაკში მამაკაცები ჭარბობდნენ ქალებს, ხოლო 35 წლის ასაკიდან ქალების რიცხოვნობა აღემატებოდა მამაკაცებისას, რაც გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.

2018 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენდა 74.0 წელს, მათ შორის მამაკაცებისათვის 69.7 წელს, ხოლო ქალებისათვის — 78.2 წელს.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი 37 წელია.

2018 წელს ემიგრანტების რიცხოვნობა 98 935 კაცით განისაზღვრა და წინა წელთან შედარებით 15.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 5.9 პროცენტით გაიზარდა და 88 152 კაცი შეადგინა.

ამავე პერიოდში ემიგრანტების 86.6 პროცენტი და იმიგრანტების 84.5 პროცენტი შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენდა.

# დუბაის გამოფენაზე მთიან აჭარაში მოგზაურობით დაინტერესდნენ

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტულ პროდუქტებს პოპულარიზაცია დუბაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე „ATM 2019“ გაუწია. მსოფლიოში უმსხვილესი გამოფენის ვიზიტორები აჭარის კუთხესთან მთიან აჭარაში მოგზაურობითა და ეკოტურისტული პროდუქტებით დაინტერესდნენ. დეპარტამენტი გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად მონაწილეობდა.**




დუბაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე 150-ზე მეტი ქვეყნის ტურისტული ბიზნესის 2500 კომპანია და ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი. სამი დღის განმავლობაში გამოფენას დაახლოებით 40 000 ვიზიტორი სტუმრობდა.

არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან აჭარაში მოგზაურების რაოდენობა მზარდია. გასულ წელს რეგიონში 11%-ით მეტი საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა, რასაც ხელს უწყობს ზაფხულის ტურისტულ სეზონზე პირდაპირი ფრენები დუბაისა და ბათუმს შორის.

წელს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის საზღვაო და სამთო ტურისტულ პროდუქტებს პოპულარიზაციას 27 ტურისტულ გამოფენაზე უწევს. მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან გამოფენებზე, როგორებიცაა ბერლინის, ფრანკფურტის, ლონდონის, ბარსელონას, პეკინის, პარიზისა და მადრიდის გამოფენები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ოჩამჩირის რაიონის ყოფილი გამგებელი, აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების დროს ოჩამჩირის რაიონის თავდაცვის საგანგებო შტაბის თავმჯდომარე, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, თადარიგის პოლკოვნიკი

## ხუტა გუგუჩია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მერაბ გურული სამძიმარს უცხადებენ მერაბ ნასრაძეს მამის

## ბუბა ალექსანდრეს ძე ნასრაძის

გარდაცვალების გამო.

# იტალიაში საქართველოს მოქალაქეები დააკავეს

**ბოლო დღეებში იტალიის ქალაქ ბარიში საქართველოს სამი მოქალაქე სხვადასხვა დანაშაულისთვის დააკავეს.**

51 წლის მამაკაცი ქურდობისთვის სან პასკუალის ტერიტორიაზე დააკავეს.

35 წლის მამაკაცი ი.დ ქურდობის მცდელობისთვის დააკავეს, მან სავაჭრო ცენტრიდან 40 ევროს ღირებულების სალეჭი რეზინის მოპარვა სცადა და შარვლის ჯიბეში დამალა. დაკავებისას ის პოლიციელებს შპრიცით ემუქრებოდა, თუმცა სამართალდამცევებმა მისი დაკავება მაინც შეძლეს.

საქართველოს მესამე მოქალაქე ბარის ერთ-ერთ რაიონში, პოჯიოფრანკოში დააკავეს, 31 წლის ზ.კ იტალიაში ჩადენილი დანაშაულის გამო ქვეყნიდან გაძევებული იყო, თუმცა ის იტალიაში უკანონოდ მაინც დაბრუნდა, რის შემდეგაც ის იტალიელმა სამართალდამცავებმა დააპატიმრეს.

# გორში 28 წლის შვილი მამამ სცემა

**„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა გუშინ მოხდა. მამაკაცი სამედიცინო ცენტრ „გორმედში“ შეიყვანეს, მას ტვინის შერყევა აქვს.**

არსებული ინფორმაციით, მან დაზიანება ოჯახში მომხდარი კონფლიქტის შედეგად მიიღო. მომხდარ ფაქტზე გამოძიება შსს-მ ცემის მუხლით დაიწყო.

# ავტოსაგზაო შემთხვევას ქართველი მორაგბე ემსხვერპლა

**ორთაჭალაში ავტოსაგზაო შემთხვევას ქართველი მორაგბე, 30 წლის გიორგი რეხვიაშვილი ემსხვერპლა.**

ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელში გავრცელდა.

ერთ-ერთი ვერსიით შესაძლოა, ის საჭეს ნასვამი მართავდა. დაშავებულია სამი ადამიანი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

**მარეობით, ის ცხრათვიანი აუცილებელი საცხოვრებელი დრო, რომელიც განსაზღვრულია, კანონით 6 თვემდე შემცირდეს“,** — განაცხადა მზია გიორგობიანმა.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ მოქმედი კანონის თანახმად, მაღალმთიანად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. ასევე, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ეს სტატუსი მიანიჭოს ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარე დასახლებას. მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირები სხვადასხვა სოციალური და საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ.

მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით მთაში მოსახლების მიბრუნება კი არა, დამაგრებაც ვერ ხერხდება. მოსახლეობა წლიდან წლამდე იკლებს. ამიტომ ხელისუფლება ცდილობს, დამატებითი სარგებელი შესთავაზოს ადგილზე დარჩენილ ადამიანებს. ეს, ძირითადად, სხვადასხვა პროგრამების ამოქმედებაში გამოიხატება.

ახლო მომავალში მაღალმთიანი რეგიონების მაცხოვრებლებს, რომელთაც ელექტროენერგია არ მიეწოდებათ, მთავრობა მზის პანელებს გადასცემს. პანელებს, დაახლოებით, 200 ოჯახი მიიღებს. ახლა სატენდერო წინადადებები მუშავდება და უახლოეს მომავალში ტენდერი გამოცხადდება.



**„ეს ჩვეულებრივი, ღია ტენდერი იქნება და ყველა კომპანიას ექნება მონაწილეობის უფლება. დღეის მდგომარეობით აღწერილი გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოში 135 მოსახლე, რომელიც ამ მზის პანელს მიიღებს. ამ აღწერაში დაგვეხმარა „იუსაიდი“ და იქ უშუალოდ ჩართული იყო თითოეული მუნიციპალიტეტი. გადაცემა მუნიციპალიტეტების მიერ მოხდება და მოვლა-შენახვა სატენდერო წინადადებებში იქნება ჩადებული.**

**წარმადობას რაც შეეხება, ეს იქნება 1.5-კილოვატიანი სიმძლავრის მზის პანელები, რომელიც საშუალებას იძლევა მაცივრის, ტელევიზორის, წყლის გამათბობლის ჩართვის საშუალებას“,** — განუცხადა „ბიზნეს მედიას“ გიორგობიანმა.

მიუხედავად ამისა, მთის მოსახლეობის გულის მოგება მაინც ჭირს. ადგილზე უმეტესად დარჩენილია ასაკოვანი ადამინები, ამიტომ შობადობა და მომავალი თაობის პოპულაცია მინიმუმამდეა დასული. შესაბამისად, რამდენიმე რეგიონში (რაჭაში, ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, ფშავში) სიკვდილიანობის მაჩვენებელი აჭარბებს დაბადების მაჩვენებელს. ეს კი ისედაც მიტოვებული ტერიტორიების კიდევ უფრო გაუკაცრიელებას იწვევს.

**ბექა დანელია**

## დედამიწა და კოსმოსი

# ...და დედამიწაზე წყვდიადი გამეფდება

**ცოტა ხნის წინათ ორიონის თანავარსკვლავედში მომხდარმა საშინელი სიმძლავრის კატაკლიზმამ, მეცნიერებს თვალნათლივ დაანახა, თუ რა დიდი საფრთხეებითაა აღსავსე კოსმოსი.**

ჰავაის კუნძულებზე განთავსებული სამხრეთაზიული ობსერვატორიის მეცნიერთა ჯგუფმა დოქტორ **სტივ მეირსის** ხელმძღვანელობით, 2016 წელს, დედამიწიდან 1500 სინათლის წლის დაშორებით, ორიონის თანავარსკვლავედში, ვარსკვლავ JW 566-ზე მომხდარი გამოფრქვევის სიმძლავრე გაზომეს და შოკირებულნი დარჩნენ — ის 10 მილიარდჯერ(!) უფრო მძლავრი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე ჩვენ მზეზე დადგენილი აფეთქება ყოფილა!

ამ აღმოჩენის შესახებ მეცნიერებმა ასტროფიზიკოსთა ჟურნალში გამოაქვეყნეს და მაშინვე დაიბადა კითხვა: ხომ არ შეიძლება მსგავსი რამ მზეზეც მოხდეს? ამ შემთხვევაში დედამიწა ხომ წვეთი წყალივით უმალ აორთქლდება! არადა,



მსგავსი საფრთხე, თურმე სინამდვილეში არსებობს. იმის ეჭვი, რომ ჩვენი მნათობი ამგვარ ვერაგულ დარტყმას აპირებს, მკვლევარებს უწინაც ჰქონდათ. ორი წლის წინათ 2017, წლის სექტემბერში, მზე ბობოქრობდა: რამდენიმე დღის განმავლობაში იგი X კლასის ამოფრქვევებით „იფურთხებოდა“, რის შედეგად დედამიწის ყველა კუთხეში რადიოკავშირი წყდებოდა, ამოფრქვევების თანმხლები კორონარული ენები მაგნიტურ ქარიშხლებს იწვევდნენ, რომლებიც თავის მხრივ ელექტროქსელებში ძაბვის ნახტომისებრ მატებასა და მის დაზიანებას იწვევდნენ. მეტეოდამოკიდებული ადამიანები კი გულის აჩქარებასა და არტერიული წნევის აწევას უჩიოდნენ.

ინგლისელმა ასტრონომმა **რიჩარდ კარინგტონმა** პირველმა შენიშნა მზეზე ლაქები, რომლებსაც დედამიწაზე მაგნიტური ქარიშხალი იწვევენ. ამერიკის კოსმოსური კვლევების საagენტოს სპეციალისტები გვაფრთხილებენ: მსგავსი რამ შესაძლოა კვლავაც განმეორდეს! კარინგტონის მსგავსი ამოფრქვევა დედამიწის ელექტრომაგნიტურ ველში ისეთი სიმძლავრის მუდმივ დენს გამოიწვევს, რომ ის უკლებლივ ყველა ელექტროქსელს გადაწვავს. ეს პირველ რიგში ტრანსფორმატორული ქვესადგურები იქნება და დედამიწაზე წყვდიადი გამეფდება.

# აღმოჩენა ნორვეგიაში: თეთრი ვეშაპი რუსული აღჭურვილობით

**ნორვეგიის ჩრდილოეთში, ფინმარკის რეგიონში, ადგილობრივმა მეთევზეებმა შეამჩნიეს თეთრი ვეშაპი, რომელსაც გარშემორტყმულ სარტყელზე ჰქონდა წარწერა „სანკტ-პეტერბურგის აღჭურვილობა“ და ვიდეოკამერის მისამაგრებელი. ამის შესახებ ცნობას ავრცელებს ნორვეგიის ტელეარხი** NRK.

როგორც ერთ-ერთი მეთევზე ყვება, 25 აპრილს, თევზაობისას, მის ნავთან თეთრი ვეშაპი მიცურდა. ვეშაპს მჭიდროდ ჰქონდა გარშემოტყმული სარტყელი, რომლის მოხსნაც მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა. მეთევზის თქმით, ვეშაპი მოთვინიერებული ჩანდა და მეთევზეებს უფლებას აძლევდა, მისთვის ხელი გადაესვათ. მეთევზეების ვარაუდით, ვეშაპი ადამიანებთან იმიტომ მიცურდა, რომ დახმარება და საკვები სჭირდებოდა. სარტყლის მოხსნის შემდეგ ვეშაპმა ნავს რამდენიმე წრე დაარტყა და გაცურა.

ნორვეგიის ოფიციალური წარმომადგენლები გამოთქვამენ შეშფოთებას, რომ ვეშაპი შესაძლოა, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ობიექტიდან იყო.






# ტყუპების ფენომენი

**სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ერში ტყუპების გაჩენა ზეცის წყალობადაც ითვლებოდა და ღვთის რისხვადაც.**

სტატისტიკურად, 90 ორსულობიდან ერთი მრავალნაყოფიანია. თუმცა, უწინ ასეთი ორსულობები გაცილებით მეტი იყო, მაგრამ განვითარების ადრეულ სტადიაზე ერთ-ერთ სიცოცხლისუუნარო ემბრიონს, ან მეორე ემბრიონი შთანთქავს, ან დედის ორგანიზმი. ამ მოვლენას „გაუჩინარებული ტყუპების სინდრომი“ ეწოდება. ასეთი გაუჩინარება ჩვეულებრივ, ორსულობის იმდენად ადრეულ სტადიაზე ხდება, რომ მომავალმა დედამ ხშირად არც კი იცის, რომ მუცლად რამდენიმე ემბრიონს ატარებდა.

მაინც რა მოქმედებს ტყუპების დაბადების ალბათობაზე? ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი დედის ასაკი ყოფილა — ისინი, ძირითადად, დაახლოებით 40 წელს მიღწეულ დედებს უჩნდებათ ხოლმე. მეცნიერები აცხადებენ, რომ ამით ბუნება თითქოს მეორე შანსს აძლევს ქალს, რომ გვარის გაგრძელება შეძლოს, ვიდრე მისი რეპროდუქტიულობის ასაკი არ დასრულებულა.

გარდა ამისა, ტყუპები უფრო ხშირად შავკანიან ქალებს უჩნდებათ, მონღოლოიდური რასის წარმომადგენლებში კი ეს დიდი იშვიათობაა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7007; ევრო - 3.0067;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4780;
100 რუბლი - 4.1654; თურქული ლირა - 0.4578;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5886;
1000 სომხური დრამი - 5.6060.

**ამინდი 1 მაისისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე | +25 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +11 | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე | +27 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე | +27 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge